ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ კოკო შანელი

**8 ლარი**

26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე




ოთხშაბათი, 28 სექტემბერი, 2011 №230 (5610) ფასი: 30 თეთრი

# ცემა-ტყეპა პარლამენტში

გვ.2

## აკაკი ბობოხი ემ პეტრე მამრა ეს მუშტი ჩაარტყა



## დაიწყება თუ არა „ქართველთა მარშის“ შემდეგ ახალი ეროვნული მოძრაობა


გვ.4

ეროვნულმა ფორუმმა ტესტი ჩააბარა



## დავით ბაქრაძე: პარლამენტარი პატიმართა ოჯახებისთვის ფულის გამოძალვას ცდილობს

გვ.2

## სოფო ხორგუანი: „სააკაშვილი მერაბიშვილისა და ბოკერიას თავის ტკივილი გახდა“



გვ.5


გვ.3

## ირაკლი ალასანია: „ქართულ-აფხაზური შერიგების დიდი პროცესი უნდა დაიწყოს!“


გვ.3

## ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შესახებ ყველა ინფორმაცია იბლოკება

## აფხაზებს ახალი პრემიერი ჰყავთ

გვ.6



ლეონიდე ლაკერბაია ახალ მთავრობას უახლოეს მომავალში დააკომპლექტებს

## ედუარდ კოკოითი: „არჩევნები არც საჭიდაო ხალიჩაა და არც სპორტული არენა“

გვ.6



**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ილია II: აფხაზეთის ომში ორივე მხარე დამარცხდა

5 ყურძნის მოსავლის 50 პროცენტი დაბინავებულია

7 როინ ჯანაშია: „ქიული შარტავას გადარჩენა შესაძლებელი იყო“

7 ციხეში სამხედრო ოფიცერი სერგო თეთრაძე გარდაიცვალა

შედით საიტზე atb.ge



## დმანისთან ახლოს მიწისძვრა მოხდა

გუშინ, დაახლოებით 13 საათზე ქალაქ დმანისის სამხრეთ-დასავლეთით 15 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ირგანჩაისთან მიწისძვრა მოხდა.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაცით, მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 5 მაგნიტუდას მაიღწია.

**მედიანიუსი**

## ილია II: აფხაზეთის ომში ორივე მხარე დამარცხდა

„აფხაზეთის ომი ეს არ იყო ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის, ეს იყო ომი მათ წინააღმდეგ, ვისაც მათი ერთგულებისა და მეგობრობის შურდა,"—ამის შესახებ გუშინ სოხუმის დაცემის მე-18 წლისთავთან დაკავშირებით, სამების ტაძარში ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ბრძანა.

პატრიარქმა გუშინ ყოვლადწმინდა სამების საპატრიაქო ტაძარში ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით, საღმრთო ლიტურგია აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ კი მრევლს ქადაგებით მიმართა.

უწმინდესის თქმით, აფხაზეთის ომში ორივე მხარე დამარცხდა.

ილია II ქადაგების დროს მოიხსენია აფხაზეთის ომის დროს გმირულად დაღუპულები: ჟიული შარტავა და მასთან ერთად დახვრეტილი მამია ალასანია. პატრიარქს მათი გახსენებისას ცრემლები მოადგა.

— მე არ ვიცი, ეს იყო აფხაზეთის გამარჯვება თუ დამარცხება საქართველოსი. სად არის გამარჯვება



და სად არის დამარცხება, მეტად რთული საკითხია. მე მინდა ვთქვა, რომ ეს არ იყო აფხაზეთის გამარჯვება, ეს არ იყო საქართველოს დამარცხება. ეს იყო ორივეს დამარცხება. ეს არ იყო ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის, ეს იყო ომი მათ წინააღმდეგ, ვისაც შურდა ჩვენი, მაგრამ მეგობრობა გაიმარჯვებს. ქართველები და აფხაზები ვგრძნობთ იმას, რომ არ შეგვიძლია უერთმანეთოდ. ქართველი გრძნობს, რომ აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცია. აფხაზებიც იგივეს გრძნობენ. მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენ ვიქნებით ერთად, — ბრძანა უწმინდესმა. ქადაგებისას პატრიარქმა ასევე მოიხსენია მღვდელმონაზონი ანდრია ყურაშვილი, იური (გიორგი) ანუა, სოხუმის მერი გურამ გაბისკირია, გენერლები გენადი ადამია და პაატა დათუაშვილი, სამოქალაქო პირები თამაზ ნადარეიშვილი და მალხაზ ვაჩეიშვილი.

უწმინდესმა ბრძანა, რომ უსამძიმრებს და ულოცვას კიდევაც ერთდროულად დაღუპულთა ოჯახებს, რადგან დადგება დრო, როდესაც მათი სახელები ბრწყინვალე ასოებით ჩაიწერება, მათ შორის უფლის წიგნში.

— ღმერთმა მოგვცეს ჩვენ ძალა, რომ გავუძლოთ ამ მწუხარებას, აღდგომისა და ამაღლების სიხარულს, — ბრძანა პატრიარქმა.

**მედიანიუსი**

# ცემა-ტყეპა პარლამენტში

### აკაკი ბობოხი ემ პეტრე მამრა ეს მუშტი ჩაარტყა



რაც საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 27 სექტემბერს მოხდა, ჩხუბს ვერ ვუწოდებთ — უფრო კაცის გალახვა ჰქვია. ამ ამბის შემსწრე ჟურნალისტებმა მომხდარი ამგვარად აღწერეს: „ბობოხიძემ მამრაძეს ახვარი უწოდა და ჩაარტყა". შემდეგ ვიდეორეპორტაჟებიც ვიხილეთ და დავრწმუნდით, რომ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა. ბობოხიძე-მამრაძე დეპუტატები არიან. ერთი, „ნაციონალი", მეორე — ნოღაიდელის პარტიის წევრი, თუმცა ამ მოწვევის პარლამენტში „ნაციონალების" სიით მოხვდა. აკაკი ბობოხიძე „წყობილებიდან გამოიყვანა" პეტრე მამრაძის განცხადებამ, რომელშიც მან 2008 წლის ომის პროვოცირებაში მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულა. სწორედ ამ განცხადებას გამო გაილახა მამრაძე.

ერთი საინტერესო ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ — ქართულ პოლიტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანისთვისაც კი გასაგები მიზეზების გამო, დღევანდელ პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის" წევრი და მათი თანამგრძნობი დეპუტატები აბსოლუტურ უმრავლესობაში არიან. ისიც ნათელია, რომ მიხეილ სააკაშვილის დადანაშაულება სრულიად „ნაციონალური მოძრაობის" გასვრას ნიშნავს, ხელი კი მხოლოდ ერთმა კაცმა გამოიღო. ამის მიზეზი შეიძლება ნაციონალების „ფალავნის" აშკარა ფიზიკური უპირატესობა იყო. ტემპერამენტზე რომ არაფერი ვთქვათ — ბობოხიძეს ნახევარი პარლამენტი აკავებდა და მაინც სამჯერ შემოუბრუნდა მოწინააღმდეგეს. მამრაძე კი, ამ დროს ისე მშვიდად იდგა მიკროფონთან და ელოდა, როდის მისცემდნენ სიტყვის გაგრძელების საშუალებას, თითქოს ნირვანაში იმყოფებოდა.

...მტყუან-მართალის გარჩევას არ დავიწყებთ, მითუმეტეს, რომ რასაც ბობოხიძე ჩაჰყვიროდა მამრაძეს, შემდეგ კი „ნაციონალური მოძრაობის" ცნობილი წარმომადგენლები აცხადებდნენ, უკვე მესამე წელია, საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის 11 აგვისტოს გამართული „საზეიმო"(?!) მიტინგიდან მოყოლებული ჩააგონებს საქართველოს მოსახლეობას.

საინტერესო სიახლე ის იყო, თუ როგორ მოიხსენია პეტრე მამრაძემ სახელმწიფო, რომელიც დღეს, საიდანაც არ უნდა მოუარო, ჩვენი მტერია. მოგეხსენებათ, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი როგორ წვალობს და მიედ-მოედება, რათა რუს ოკუპანტს რაიმე უფრო „რბილი" განსაზღვრება მოუგონოს. როგორც ჩანს, შესაფერისი სიტყვა მოფიქრებულია — პეტრე მამრაძემ 2008 წელს საქართველოში შემოჭრილ მტერს „რუსული სამხედრო-პოლიტიკური მანქანა" უწოდა, რომელსაც „სააკაშვილმა ლანგრით მიართვა დამოუკიდებლობის გამოცხადების საშუალება".



როდესაც ფიზიკური დაპირისპირება დაცხრა, ტრიბუნასთან „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები მიხეილ მაჭავარიანი, გოკა გაბაშვილი, ნუგზარ წიკლაური მივიდნენ. რის შედეგადაც საპარლამენტო სესია სულ უფრო მეტად დაემსგავსა ზემოთ ნახსენებ 3 წლის წინანდელ მიტინგს. იმ განსხვავებით, რომ, როგორც გოკა გაბაშვილმა აღნიშნა, რუსეთი კიდევ უფრო დასუსტდა, პეტრე მამრაძისა და კიდევ ერთი-ორი კაცის ამარა დარჩა საქართველოში ან საქართველოს პარლამენტში და მაქსიმუმ, რისი უნარიც აქვთ, დღევანდლის მსგავსი ხანმოკლე შოუს მოწყობაა. ნეტამც...

ბოლოს აკაკი ბობოხიძეც მივიდა მოკროფონთან, საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და სინანულით აღნიშნა, რომ არ ეგონა, თუ კიდევ მოუწევდა 1993-1995 წლების პარლამენტში დაბრუნება. როგორც ჩანს, ბატონი აკაკი მაშინდელ პარლამენტში მომხდარ დაპირისპირებებს გულისხმობდა. მათ შორის ნოდარ ნათაძესა და ვახტანგ რჩეულიშვილს შორის მომხდარ ცნობილ დაპირისპირებას, რომლის დროსაც მხარეებმა ერთმანეთში „ბორჯომი" და ტელეფონი „გაცვალეს". ის პარლამენტი მართლაც ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ამ მხრივ (მუშტიკრივს ვგულისხმობთ), მას არც „ვარდების რევოლუციით" მოსულმი ხელისუფლება ჩამოუვარდებოდა. ვის არ ახსოვს ბოკერია-ბერძენიშვილის ჯაჯგური და გადეპუტატებული ოლიმპიური ჩემპიონის, გიორგი ასანიძის მაგიდებზე ხტომა; ანდა რამდენიმე წლით ადრე ცისკარიშვილი-საგანელიძის დაპირისპირება, როდესაც საპარლამენტო დონეზე პირველად გაიჟღერა პარლამენტისათვის სრულიად შეუფერებელმა სიტყვამ „კასტეტი". ასე რომ, პარალელების გავლება უფრო ახლო, შინაურ წრეშიც შეიძლებოდა.

ამ დღეს ერთი, შედარებით მცირე ინციდენტი კიდევ მოხდა-დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივნ ზურაბ მელიქიშვილზე გაიწია. პარლამენტის თავჯდომარემ კი, მას უზრდელი უწოდა და ისიც თქვა, რომ „ცუდია, როდესაც დეპუტატი პატიმრებისგნა ფულს ითებს".

ბოლოს შეგახსენებთ, 27 სექტემბერი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში — სოხუმის დაცემის დღე. პარლამენტის სესია სწორედ აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების ხსოვნის საპატივცემულო წუთიერი დუმილით დაიწყო. შემდეგ როგორ გაგრძელდა და საერთოდ, როგორ ვაგრძელებთ, ამაზე უკვე მოგახსენეთ.

**ინტერპრესნიუსი**

## წიკლაურმა ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" დაახასიათა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისათვის" წევრები ხატოვნად დაახასიათა. როგორც მან დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის გამართული დებატებისას აღნიშნა, კარგია, როცა ახალი პოლიტიკური ძალა იქმნება, იმის მიუხედავად, რომ ახალი ფრაქციის წევრთა აზრებიცა და ვერბალური სახეც ერთმანეთისგან განსხვავებულია. მისი შეფასებით, ფრაქციას ერთი მხრივ, ჰყავს „მოხეტიალე ფორვარდი" ჯონდი ბაღათურია, მასში ასევე გაწევრიანებულია ადამიანი, რომელიც საერთოდ ვერ ლაპარაკობს და ადამიანი, რომელიც ისე „სწრაფად ლაპარაკობს, რომ მისი სიტყვების გარჩევა შეუძლებელია".




წიკლაურის დახასიათებით, ფრაქციას „ლამის მღვდელმთავარიც" ჰყავს, რომელიც სხდომებზე რელიგიური ტექსტებით გამოდის და ასევე ცაგარეიშვილი, რომლის „კრემლნარევი სიხარული და სენტიმენტები" გამორჩეულია.

— ასე რომ, ისინი განსხვავებულები არიან, მაგრამ ამ ლირიკული ინტერმედიის გარდა, მინდა გკითხოთ, არა პეტრეს, არამედ დიმიტრის ან ბაღათურიას, რომლებიც მგზნებარე პატრიოტიზმით გამოდიან ხოლმე, ასევე დიასამიძეს შეგიძლიათ, გაიმეოროთ მამრაძის ის სიტყვები, რომ საქართველო რუსეთს დაესხა თავს? შეგიძლიათ, ეს სიტყვები გაიმეოროთ? თქვენც პუტინები ხართ? მედევდევები ხართ? მამრაძეები ხართ?, — ჰკითხა წიკლაურმა ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისათვის" -- წევრებს.

მისი თქმით, პეტრე მამრაძე ახალი ისტორიის დაწერას და საქართველოს გამტყუნებას ვერ შეძლებს.

— საქართველოს პარლამენტში ვერ შეძლებთ იმ რუსი პოლიტიკოსების აზროვნების გაბატონებას, რომლებიც დღეშ და ღამე იმას ცდილობენ, რომ საქართველო აგრესორად წარმოაჩინონ, — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

**მედიანიუსი**

## ლორთქიფანიძე-მელიქიშვილს შორის შელაპარაკება მოხდა

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ოპოზიციონერი დიმიტრი ლორთქიფანიძე უმრავლესობის წევრ ზურაბ მელიქიშვილს სიტყვიერად დაუპირისპირდა.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც საპარლამენტო დელეგაციებიდან ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისათვის" წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძის გამოწვევა მისმა თანაფრაქციელებმა გააპროტესტეს.

ლორთქიფანიძემ მისი გამოწვევის გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ პოლიტიკურ დევნად შეაფასა. ტრიბუნიდან გამოსვლამდე და ამ განცხადების გაკეთებამდე იგი ზურაბ მელიქიშვილთან მივიდა და აღნიშნული საკითხის გარკვევა დაიწყო. საკმაოდ ხმამაღალი საუბრის შემდეგ დიმიტრი ლორტქიფანიძემ ზურაბ მელიქიშვილს ამ სიტყვებით მიმართა „შენ ხმა ჩაიწყვიტე!"

თუმცა, მამრაძის შემთხვევისგან განსხვავებით, მათი კამათი ფიზიკურ შეურაცხყოფაში არ გადაზრდილა. უმრავლესობის წევრებმა ლორთქიფანიძეს სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მოუწოდეს.

შეგახსენებთ, რომ სამი საპარლამენტო დელეგაციიდან ლორთქიფანიძის გამოწვევის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ამ უკანასკნელმა ფრაქცია „ძლიერი საქართველო დატოვა და ფრაქციაში „ერთობა სამართლიანობისათვის" -- გაერთიანდა. იგი ეუთოს, მართმადიდებელ სახელმწიფოთა და სუამის საპარლამენტო დელეგაციებში სწორედ „ძლიერი საქრათველოს" კვოტით იყო გაწევრიანებული.

**მედიანიუსი**

## პარლამენტმა ორ დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყვიტა

პარლამენტმა გუშინ გამართულ პლენარულ სხდომაზე ორ დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყვიტა. ესენი გურჯაანის რაიონის მაჟორიტარი გიორგი ჩივიაშვილი და გორის რაიონის მაჟორიტარი გიორგი ტატიშვილი არიან. მათთვის დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი ჩივიაშვილის კახეთის საოლქო პროკურორად, ხოლო ტატიშვილის შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშვნაა, რაც პარლამენტარის საქმიანობასთან შეუთავსებელი თანამდებობებია. გურჯაანისა და გორის მაჟორიტარულ ოლქებში შუალედური არჩევნები აღარ ჩატარდება, რადგან პარლამენტის მოქმედი შემადგენლობის მუშაობის ვადის ამოწურვამდე ერთ წელზე ნაკლები არის დარჩენილი. შესაბამისად, ჩივიაშვილსა და ტატიშვილს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ადგილმონაცვლეები არ ეყოლებათ.

დღემდე დეპუტატის უფლებამოსილება 22 დეპუტატს ჰქონდა შეწყვეტილი.

**მედიანიუსი**

## საქართველოში 115 წლის ქალბატონი ჩამოდის

რუსეთის ფედერაციის სტავროპოლის მხარის მიგრაციის ფედერალურმა სამსახურმა საზღვარგარეთის პასპორტი დაუმზადა ქალს, რომელსაც ცოტა ხნის წინ 115 წელი შუსრულდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ამჟამად ქალაქ სტავროპოლში მცხოვრები ნარგიზ მუსაევა საქართველოშია დაბადებული და საზღვარგარეთის პასპორტიც იმისათვის სჭირდება, რომ თავის ისტორიულ სამშობლო საქართველოში ნათესავები მოინახულოს. 115 წლის მუსაევა გარდაბანის რაიონის სოფელ ალთაკლიაში მიემგზავრება.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შესახებ ყველა ინფორმაცია იბლოკება


თამარ კორძაია

შალვა ჯოხაძე

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში ჯერ კიდევ ქაღალდზე არსებულ პრივილეგიად რჩება, პრაქტიკაში საქმე ისევ ცუდადაა. ჩვენში ყველანაირი ოფიციალური ინფორმაცია იმალება, თუმცა ნომერ პირველ საიდუმლოდ მაინც ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შესახებ ცნობები რჩება. ოფიციალურ უწყებებში საგულდაგულოდ მალავენ, თუ რა ჯდება და როგორ მიმდინარეობს მშენებლობა.

დღეს, 28 სექტემბერს, ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღეა და საქართველოში ამ თარიღს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნავს. თუ რა თემებზე გაამახვილებს ყურადღებას საია, ამის შესახებ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს, თამარ კორძაიას გავესაუბრეთ. კორძაიას თქმით, ღონისძიებები არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც გაიმართება.

**თამარ კორძაია:**

— ტრადიციისამებრ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. სწორედ ამ დღეს საია-ს თბილისის, ქუთაისის, თელავისა და გორის ოფისები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე მართავენ ღონისძიებებს. მოგეხსენებათ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღების დღიდან, საია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს.

ჩვენი რეგიონული ოფისების წარმომადგენლები იმ პრობლემებზე გაამახვილებენ ყურადღებას, რასაც ადგილობრივ ხელისუფლებებთან ურთიერთობისას აწყდებიან. შეძლებისდაგვარად, ვეცდებით, რომ ამ ღონისძიებებს საჯარო სამსახურების ის წარმომადგენლები დაესწრონ, რომლებიც ძირითადად ასეთ პრობლემებს ქმნიან.

მაგალითად, ქუთაისში აქცენტი პარლამენტის მშენებლობაზე გაკეთდება, რადგან დაახლოებით ექვსი თვეა ვცდილობთ, მის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვოთ, თუმცა, უშედეგოდ. ტოტალურად ხდება გადამისამართება, კონკრეტული უწყებები გვეუბნებიან, ეს ჩემი ფუნქცია არ არის და სხვას მიმართეთო. აბსოლუტურად ყველა საჯარო დაწესებულება, მათ შორის ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემას თავს არიდებს. ჩვენ განსაკუთრებულ აქცენტს ამაზე ვაკეთებთ, რადგან ამ შემთხვევაში ხელისუფლება ძალზე სოლიდურ თანხებს აბსოლუტურად გაუმჭვირვალედ განკარგავს.

***— დედაქალაქთან დაკავშირებით რა პრობლემებია?***

— დედაქალაქს რაც შეეხება, აქ ჩვენ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გარევაჭრობასთან დაკავშირებით გაცემულ ნებართვებსა და საიას საჯარო ინფორმაციის ბაზაზე ვისაუბრებთ.

სპეციალურ კვლევაში - „თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობაზე თანხმობის გაცემა“ დედაქალაქის მასშტაბით, საზოგადოებრივ ადგილებში, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსებაზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვების კანონიერების პროცესზე არის საუბარი. კვლევამ, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელიც დედაქალაქის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ მოცემულ ინფორმაციას ეფუძნება, დაადასტურა, რომ გარევაჭრობის ნებართვის გაცემაზე უარს სრულიად დაუსაბუთებლად გასცემენ. ამ ადამიანებს ერთგვაროვან, განსაკუთრებული, ინდივიდუალური დასაბუთების გარეშე სცემენ პასუხებს.

***— კი მაგრამ, ეს ალბათ ყველას არ ეხება.***

— დიახ, არის პრივილეგირებული კომპანიები, რომლებზეც ნებართვებს ისეთ ადგილებშიც კი გასცემენ, სადაც გარევაჭრობა არ შეიძლება. მაგალითად, როდესაც ნებართვა გაიცემა, გარკვეული მოთხოვნები უნდა იყოს დაცული, მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები იყოს გათვალისწინებული, ნებართვა მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებზე გაიცეს. თუმცა, ეს პრინციპები რომ ხშირად ირღვევა, ამის შესახებ კვლევაში საკმაოდ დასაბუთებული მონაცემები გვაქვს მოტანილი. ჩვენი კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ სფეროში გადაწყვეტილებებს ტენდენციურად იღებენ.

ინფორმაციის თავისუფლებასთან ნებისმიერი ანტიკორუფციული საქმიანობა არის კავშირში. მოგეხსენებათ, ინფორმაციის თავისუფლება ცოდნის უფლებას გულისხმობს და ის ინფორმაციის თავისუფლებით შეიძლება რეალიზდეს. ის, რომ ინფორმაციის თავისუფლების დღეს მოსახლეობას მივაწვდით საინტერესო ცნობებს ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობის შესახებ, თუ რამდენად სწორად მუშაობს ის, რამდენად ზუსტი და სამართლიანია მისი გადაწყვეტილებები, ეს ინფორმაციის თავისუფლების გამოვლინებაა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ მართავს მას მისივე ხელისუფლება.

***— თბილისის მერიიდან ინფორმაციის გამოთხოვნისას რამდენად შეგექმნათ პრობლემები?***

— რა თქმა უნდა, პრობლემები შეგვექმნა, იყო ინფორმაციის დაგვიანების ფაქტები. კვლევაში ამ ყველაფრის სტატისტიკაც არის. თუმცა, მიუხედავად პრობლემებისა, ჩვენთან მრავალი ინფორმაცია იყრის თავს, რომლის ბაზაც შევქმენით. 28 სექტემბერს საზოგადოებას საია-ს საჯარო ინფორმაციის ბაზასაც წარვუდგენთ. გამომდინარე იქიდან, რომ საია 10 წელზე მეტია ერთგულად ემსახურება გამჭვირვალობის პრინციპების დამკვიდრებას ქვეყანაში, მივიღეთ გადაწყვეტილება, ყველასათვის მარტივად ხელმისაწვდომი გავხადოთ ყველა ის ინფორმაცია, რასაც საჯარო დაწესებულებებიდან მოვიპოვებთ. ბაზის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ პირველად დოკუმენტებს, ასევე, პარალელურად მიიღოს ინფორმაცია, თუ რა საკითხებით ინტერესდება საია და რა დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოადგენს საკუთარ პოზიციას.

***— ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემად რა რჩება?***

— ძირითადი პრობლემა უკვე ის კი არ არის, რომ ინფორმაციის გაცემას აგვიანებენ ან არ იძლევიან. ახლა ასეთი ტენდენციაა, თუ მიაჩნიათ, რომ ესა თუ ის ინფორმაცია უნდა დაიბლოკოს, არ გაიცეს, მაშინ მას ოფიციალურად ასაიდუმლოებენ. საქმე გვაქვს უკანონო გასაიდუმლოებასთან, რის შედეგადაც უკვე დავას პრაქტიკულად აზრი ეკარგება. როგორც აღვნიშნე, არის გადამისამართების შემთხვევებიც, რაც ინფორმაციის გაცემის გაჭიანურებას და იმავე უარს ნიშნავს. კიდევ ერთი გავრცელებული მეთოდი ისაა, რომ ინფორმაცია კერძო სექტორში ინაცვლებს. ასე ხდება იმავე ახალი პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით. რადგანაც მშენებლობას კერძო შპს ახორციელებს, ახლა ინფორმაციას ამის მომიზეზებით არ გასცემენ, როგორც არასაჯაროს. არადა, ეს ფირმა მშენებლობას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ახორციელებს და უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, რაში იხარჯება ის.

მართალია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ ოფიციალურ ინფორმაციას პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით ვერ იღებენ, თუმცა არაოფიციალური ცნობები მაინც ვრცელდება. მაგალითად, ის, რომ ახალ პარლამენტს ქუთაისში ცნობილი პერსონების ირაკლი ჩიქოვანის, დავით კეზერაშვილისა და გიორგი არველაძის კომპანია აშენებს და ის 100 მილიონამდე დაჯდება. კერძოდ, პარლამენტის ახალ შენობას სამშენებლო კომპანია „მაგი სტილი“ აშენებს, რომლის მფლობელებადაც ზემოთ მოხსენიებული ფიგურები მოიაზრებიან. ასე რომ, გასაგებია, რატომაც იბლოკება ინფორმაცია მშენებლობის ოფიციალურ ხარჯებთან დაკავშირებით.

# ირაკლი ალასანია: „ქართულ-აფხაზური შერიგების დიდი პროცესი უნდა დაიწყოს!“

ქეთი ხომერიკი

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ალასანიას პარტიამ აფხაზეთის ორგანიზაცია დააფუძნა. ამ ორგანიზაციის დაფუძნების ინიციატივა, ბუნებრივია, პარტიის ლიდერ ირაკლი ალასანიას ეკუთვნოდა. ღონისძიების სლოგანია „გვახსოვს და ვმოქმედებთ“, თავად ღონისძიება კი პროფკავშირების სასახლეში გაიმართა, რომელსაც პარტიის ლიდერები, წევრები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები დაესწრნენ.

ღონისძიების დასაწყისში კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ აფხაზეთის ორგანიზაციას ირაკლი ალასანია უხელმძღვანელებს. მის კანდიდატურას ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე დელეგატებმა მხარი, რა თქმა უნდა, ერთხმად დაუჭირეს. გუშინვე დელეგატებმა აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობის წევრებიც აირჩიეს. სლოგანი „გვახსოვს და ვმოქმედებთ“ აფხაზეთის ორგანიზაციის მიზანიც გახდება. კონფერენციაზე პარტიის ლიდერები სიტყვით გამოვიდნენ, კონფერენციის დასასრულს კი დარბაზში შეკრებილებს სიტყვით თავად ირაკლი ალასანიამ მიმართა.

— აფხაზეთის ორგანიზაცია ხვალიდან 24-საათიან რეჟიმში დაიწყებს მუშაობას, რათა მოხდეს დევნილი საზოგადოების მობილიზება და აფხაზების დასაბრუნებლად ერთ მუშტად შეკვრა, — განაცხადა ალასანიამ. მისივე თქმით, 27 სექტემბერი არის დღე, როდესაც ჩვენმა გმირებმა დაანახვეს ყველას, რომ შიშის დაძლევა შეიძლება.


ირაკლი ალასანია

— ჩემთვის და ყველა მოქალაქისთვის იმ დროის განცდა და განწყობა ერთი გმირი კაცის ფრაზაშია გადმოცემული — 27 სექტემბერს, როცა სოხუმი გარშემორტყმული იყო ჯალათებით, ქალაქის მერმა, ბატონმა გურამ გაბისკირიამ, როცა უთხრეს, რომ მას უნდა დაეჩოქა, თქვა ასეთი სიტყვები: „არასდროს ცხოვრებაში!“. ჩვენი დევიზი უნდა გახდეს, რომ ჩვენ ვერასდროს ვერავინ დაგვაჩოქებს, თუკი ერთმანეთის გვერდით დავდგებით. ვფიქრობ, რომ სწორედ დღევანდელ დღეს, ჯვართამაღლებისა და ჩვენი გმირების თავგანწირვის დღეს, ჩვენ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რომ მხოლოდ ხსოვნა და სიტყვებით პატივისცემა ვერ დააფასებს ამ გმირებს. ამისთვის საჭიროა მოქმედებაში გაერთიანება მომავლისა და ქვეყნის გამთლიანებისთვის, — აღნიშნა ალასანიამ.

ღონისძიებაზე სპეციალურად გუშინდელი დღისთვის მომზადებული დოკუმენტური ფილმი იყო ნაჩვენები, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილები თავიანთ კუთხეში დაბრუნების აუცილებლობაზე საუბრობენ. გუშინდელ ღონისძიებაზე ალასანიამ აფხაზებისთვის მეგობრობის ხელის გაწოდებასა და აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის კონსოლიდაციის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, აფხაზებს დემოგრაფიული პრობლემები ემუქრებათ, ამიტომ საკუთარი იდენტურობისა და სახის შენარჩუნების პრობლემა ჩვენი და აფხაზების შერიგების ბუნებრივი საფუძველი უნდა გახდეს.

„ახალმა თაობამ“ ირაკლი ალასანიას რამდენიმე კითხვით მიმართა.

***— რა მიზანი აქვს აფხაზეთის ორგანიზაციის დაფუძნებას და რას მოუტანს ამ ორგანიზაციის დაფუძნება ჩვენს ხალხს?***

— ზუსტად დღეს, 18 წელი რომ გავიდა, 1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ, როდესაც ჩვენ ყველა ვინც ვიყავით სოხუმში თუ არ ვიყავით, ადამიანური დიდი ტკივილი გადავიტანეთ და ამით ვართ დღეს გაერთიანებული. მინდოდა, დღევანდელი დღით, აფხაზეთის ორგანიზაციის დაფუძნებით იმედი შემეტანა ამ ადამიანების სახეებში, გულებში, მეთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ ტრაგედია და წარსული კი არ უნდა გვაერთიანებდეს, ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ მომავალზე და უნდა ვიმოქმედოთ. უნდა ვიმოქმედოთ ნიშნავს იმას, რომ მომავლისკენ უნდა წავიყვანოთ ჩვენი ხალხი, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება. ორი მთავარი მიზანი ექნება „თავისუფალი დემოკრატების“ აფხაზეთის ორგანიზაციას. პირველი, ვიზრუნოთ იმაზე, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი შესწირეს თავიანთ ქვეყანას, ვინც დარჩა — მშობლები, შვილები, მათი ყოველდღიური ცხოვრება გავხადოთ ღირსეული. მეორე, დავიწყოთ გულწრფელი ნაბიჯების გადადგმა აფხაზებთან შერიგებისკენ. ქართულ-აფხაზური შერიგების დიდი პროცესი უნდა დაიწყოს და პირველ რიგში მართლა გულწრფელად უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რომ ის, რაც მოხდა, წარსულს უნდა ჩავაბაროთ. ჩვენ ერთმანეთს შერიგების ხელი უნდა გავუწოდოთ. ეს ორი ძირითადი ხედვა და მიმართულებაა, რომელიც „თავისუფალი დემოკრატების“ აფხაზეთის ორგანიზაციას გააჩნია.

***— ხვალიდანვე აპირებთ ამ კუთხით გააქტიურებას? აქ შეკრებილი დევნილების განწყობაზე რას იტყვით?***

— რა თქმა უნდა. რაც შეხება განწყობას, ეს იყო იმედისა და მომავლის რწმენის გაჩენის დღე და ჩვენ მებრძოლი და შეურიგებელი განწყობა იმასთან მიმართებით, რა დღეშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა, დანაწევრებული, დაჩეხილი, რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. ამას არავინ ურიგდება, ამაზე შევთანხმდით და პირობა მივეცით ერთმანეთს აქ მყოფმა ადამიანებმა, დამფუძნებლებმა, რომ საქართველოს დევნილებს წავიყვანთ აფხაზებთან შერიგების გზით ქვეყნის გამთლიანებისკენ.

„ახალი თაობა“ აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონს, ნათელა ქარდავას ესაუბრა.

**ნათელა ქარდავა:**

— კმაყოფილი ვართ ლტოლვილები, რომ დაფუძნდა ეს ორგანიზაცია. ირაკლი ალასანიაზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ძალიან განვიცდი, ჩემი მიწა-წყლიდან მოშორებით რომ ვცხოვრობ ამდენი წელია, თუმცა, იმედი არ დამიკარგავს, რომ ოდესმე, სანამ ცოცხალი ვარ, დავბრუნდები ჩემს მშობლიურ აფხაზეთში. ჩვენმა მთავრობამ დიდი გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს ამ ძირძველი ერის გასაერთიანებლად. ჩვენ და აფხაზები ძალიან დიდი ხანია ერთად ვცხოვრობთ, ერთად მოვდივართ და ასე უნდა იყოს ბოლომდე. უფალს შევთხოვ, გააერთიანოს ჩვენი დედასამშობლო.

## ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი მაჟორიტარობის კანდიდატებს შეხვდა

ამერიკის საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ალან მელცერი გუშინ თელავში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შეხვდა. პირველად ის „თოფაძემრეწველების“კანდიდატს ვასილ არაბულს გაესაუბრა და წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას გაეცნო, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

ვასილ არაბულმა იმ ზეწოლაზე ისაუბრა, რომელიც, მისი მტკიცებით, ხელისუფლებისგან მოდის, კერძოდ ოპოზიციურ კანდიდატთან შეხვედრას უკრძალავენ.

შეხვედრის დროს „მრეწველების“ წარმომადგენელმა ზურაბ წერეთელმა პარტიის ხედვებზე ისაუბრა და საელჩოს წარმომადგენელს მუნიციპალიტეტში შეხვედრების დროს გამოკვეთილი პრობლემები გააცნო.

საელჩოს წარმომადგენელი დღესვე შეხვდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა და „ნაციონალების“ კანდიდატებს. გარდა ამისა, დღესვე ალან მელცერი საოლქო საარჩევნო კომისიის და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება.

მედიანიუსი

# „ჰაკერს“ განაჩენი გამოუტანეს

## როგორ იპარავენ თანხას ინტერნეტ-ტოტალიზატორებიდან

შალვა ჯოხა ე

აზარტული მოთამაშეების საყვარელი ქართული ინტერნეტსაიტები „ჰაკერებისთვის“ საკმაოდ ხელმისაწვდომია. ბოლო დროს, ძალიან ბევრი მოთამაშის პირად გვერდს ტეხავენ. ჩვენი ინფორმაციით, კონკრეტულ მოთამაშეებს სამართალდამცავები ძალზე აქტიურად იბარებენ დასაკითხად და მათ მიერ მიწოდებული ცნობების მიხედვით დამნაშავეებსაც ავლენენ.

ამ დღეებში თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა, რომელიც ე.წ. ჰაკერის მიერ სხვისი გვერდების „გატეხვასა“ და ანგარიშებიდან თანხების მოხსნის ფაქტს შეეხება.

28 წლის ივანე ხუციანიძეს ბრალი ედებოდა, რომ სხვის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეაღწია და თანხა მოიპარა. აღსანიშნავია, რომ ხუციანიძეს ჯგუფურ დანაშაულში დასდეს ბრალი.

საქმის მასალების მიხედვით, ივანე ხუციანიძე ინტერნეტ საიტ „აჭარაბეთის“ ონლაინ თამაშებზე იყო დარეგისტრირებული. სამართალდამცავების ინფორმაციით, მან პერსონალური და სამსახურებრივი კომპიუტერის გამოყენებით, ამავე საიტზე დარეგისტრირებულ სხვა მომხმარებელთა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა განიზრახა, რის შემდეგაც პაროლს „გატეხავდა“ და მათ პირად ანგარიშებზე არსებულ თანხებს დაეუფლებოდა.

— განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ბრალდებულმა 2011 წლის მაისსა და ივნისში, სხადასხვა დროს, უკანონოდ შეაღწია აღნიშნული საიტის თერთმეტი მომხმარებლის პირად ვებგვერდზე, სადაც გვერდის მფლობელების პაროლის „გატეხვის“ შემდეგ მათ ანგარიშზე არსებული თანხა, საკუთარ სახელფასო ანგარიშზე გადარიცხა. ბრალდებული ივანე ხუციანიძე ფარულად, კომპიუტერულ სისტემეში არაერთგზის, უნაბართვო შეღწევით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 3 921 ლარს, — აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

საქმის არსებითი განხილვისას ივანე ხუციანიძემ აღიარა ჩადენილი დანაშაული, ასევე სრულად აანაზღაურა დაზარალებულთათვის მიყენებული მატერიალური ზიანი. გარდა აღიარებისა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება სს საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობითაც დადასტურდა. ამის გათვალისწინებით, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და ივანე ხუციანიძეს სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპის გამოყენებით, 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მხოლოდ 1 წელს მოიხდის, დანარჩენი წლები კი პირობით პატიმრობაში იქნება. ხუციანიძეს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმაც — 3000 ლარი.

# დაიწყება თუ არა „ქართველთა მარშის“ შემდეგ ახალი ეროვნული მოძრაობა

ნათია ხურცილავა

„ქართველთა მარში“ „ვარდების მოედანზე“ დათქმულ დროს დაიწყო, ეროვნული ფორუმის ლიდერებიც ერთად გამოცხადდნენ, მათ ხალხი ტაშით შეეგება, მაგრამ მათი განწყობა სამარშო არ იყო. როგორც ჩანს, ფორუმის მოლოდინი ვერ გამართლდა.




ქართველთა ტესტად შეფასებული მარში, შეიძლება ითქვას, ფორუმის ტესტი აღმოჩნდა.

ეროვნული ფორუმი ოპოზიციის აქციებზე ყოველთვის ახერხებდა ხალხის მობილიზებას. ფორუმი გამოირჩეოდა დანარჩენი ოპოზიციისგან იმითაც, რომ მათი მხარდამჭერები ორგანიზებული იყვნენ.

გუშინ „ქართველთა მარშში“ მონაწილეობა არ მიუღიათ დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს. არ იყვნენ პოლიტიკური პარტიები და არც პოლიტიკური სიმბოლიკები იყო. დაპირებისამებრ „სახალხო კრების“ რამდენიმე წარმომადგენელი შეუერთდა „ქართველთა მარშს“.

„ვარდების მოედანზე“ შეკრებილი ხალხი მათი მოსვლის მიზეზზე საუბრობდა. ნაწილი „ქართველთა მარშს“ სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილ აქციად მოიხსენიებდა, ნაწილი კი ხელისუფლებისგან უკმაყოფილებას ვერ მალავდა და მათ გამოსვლას ქუჩაში თავიანთ პროტესტს უკავშირებდა.

ამასობაში მსვლელობაც დაიწყო. მოქალაქეებმა ფორუმის ლიდერების ხელმძღვანელობით სამების საკათედრო ტაძრისკენ გადაინაცვლეს.

აფხაზეთიდან დევნილმა ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გვითხრა, რომ ეს აქცია მისთვის 27 სექტემბრის გახსენებაა და მას არავითარი პოლიტიკური დატვირთვა არა აქვს.

გუბაზ სანიკიძემ პროტესტი სინგაპურის წინააღმდეგ ღიად დააფიქსირა. მისი თქმით, „ქართველთა მარშის“ პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

— ეს ადამიანები არ ეპუებიან ამ ვითარებას. ეს ადამიანები არასდროს შეურიგდებიან სოხუმისა და ცხინვალის დაკარგვას და სინგაპურის ჭიშკარში შებიჯებას, სადაც ადამიანებს ასაჭურისებენ იმის გამო, რომ შეიძლება ნიჭიერი არ იყოს. სახელმწიფო ფულს უხდის ნაკლები ინტელექტის მქონე ადამიანებს სტერილიზაციისთვის, რათა არ გამრავლდნენ. ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, რომელსაც ეს ქვეყანა მოეწონა, — განაცხადა სანიკიძემ.

როგორც აღვნიშნეთ, „ქართველთა მარში“ ერთგვარი ტესტი იყო ფორუმის მხრიდან იმ განწყობების საილუსტრაციოდ, რომელიც ქართველებს აქვთ.

— მზაობა ქართველი საზოგადოების, რამდენად ვართ მზად ცვლილებებისთვის. სურვილი კი სხვა რამეა, — ამბობს გუბაზ სანიკიძე, ხოლო კითხვაზე, რისთვის ემზადებიან, სანიკიძე პასუხობს — სააკაშვილის გასაშვებად.

გუშინდელ მარშს სანიკიძემ უწოდა ეროვნული აქცია, რომელიც ეროვნულ, პოლიტიკურ, სოციალურ პრობლემატიკას აერთიანებს.

— არასასიამოვნო სიურპრიზები წინ გვაქვს, არა მარტო მე. მე გეუბნებით, თუ ასე გავაგრძელებთ, შემდეგ არჩევნებს სააკაშვილი არ ჩაატარებს. ჩაატარებს ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი, — აღნიშნა გუბაზ სანიკიძემ.

რაც შეეხება აქციის სახელწოდებას, „ქართველთა მარში“, გავრცელებული ინფორმაციით, ის საკამათო გახდა ეროვნულ უმცირესობებში.

— ტერმინი „ქართველი“, აღმოვაჩინე, რომ აკრძალულია. „ქართველ ერს“ რომ იტყვი, ხარ ფაშისტი და ჩამორჩენილი. „ქართველთა მარში“ რომ დავარქვით ამ აქციას, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს არის ქსენოფობია. მე რომ ვიტყვი, ქართველი ვარ, ე.ი. მძულს დანარჩენი სამყარო. ხომ არ ეწყინა ვინმეს, რომ ქართველებმა გავბედეთ, საქართველოს დედაქალაქში „ქართული მარში“ მოგვეწყო. ამას ნიშნავს. დღევანდელი დღე ბევრ რამეს გაზომავს. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ასევე ფორუმისთვის. ქართველებმა ბევრის ატანა ვიცით, ვიტანთ, მაგრამ ბახტრიონის აჯანყებასაც ვაწყობთ ხოლმე. ასეთი უცნაური ხალხი ვართ. მომავალი მაინც ქართველი ხალხის ხელშია. ბედნიერი საქართველო არსებობს, მაგრამ იქამდე მისასვლელ გზას ვერ მივაგენით, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

**კახა შარტავა, ეროვნული ფორუმის ლიდერი:**

— ჩვენს ამ განწყობას უმსგავსო პასკვილებით ნუ გავაფუჭებთ. ჩვენი ერთობლივი მსვლელობა არსი სიმბოლურად გზის გავლა — დაცემიდან ამაღლებამდე. ერთიანობის განცდით შევძლებთ, რეალური გზაც გავიართო. თუ დაცემას თვალს გავუსწორებთ და ამაღლებისკენ სვლის განწყობა გვექნა. ქართველებს ბრძოლა სწყურიათ და, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ბრძოლისთვის აგროვებენ ძალებს. ვინც მოვედით აქ, ამ ბრძოლისთვის მოვამზადებთ ნიადაგს. თუ ქართველებს მართლა აქვთ სურვილი, რომ განვაცხადოთ: ჩვენ ქართველები ვართ და აქ საქართველოა, ალბათ, თანდათან მეტნი და მეტნი ვიქნებით. გადამწყვეტი ბრძოლაა ნებისმიერი დღე. უბრალოდ ქუჩაში გამოსვლა არ არის თვითმიზანი. დღევანდელ ჩვენს აქციას თავისი მიზანი ჰქონდა.

აფხაზეთიდან დევნილი ირაკლი ფიფია აცხადებს, რომ მისი მოსვლის მიზეზი სოხუმის დაცემის დღის აღნიშვნაა და არავითარი პოლიტიკური დატვირთა ამას არ აქვს.

— მოვედი იმიტომ, რომ მიხარია, ამ ცხოვრებას რომ გავუძელი ამდენ ხანს. ცოცხალი რომ ვარ, ეს მიხარია. მე ოჩამჩირის რაიონიდან, კოჩარიდან ვარ. ამ აქციაზე სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებთი მოვედი. მაინტერესებს, რას ფიქრობს ჩემნაირი ხალხი. რას ველოდები? არაფერს, რას უნდა ველოდო. „სამებაში“ მივალთ და ლოცვას დავესწრებით. მერე დავიშლებით. ეს არ არის არავითარი პოლიტიკური აქცია. რომც არ ყოფილიყო ფორუმის იდეა, მაინც მოვიდოდით, რადგან ჩვენ დღევანდელ დღეს ყოველთვის აღვნიშნავთ. ეს ტრაგიკული დღეა, ქართველთა ტკივილის დღე, — გვითხრა ირაკლი ფიფიამ.

**ალმარი ლომიძე, აქციის მონაწილე:**

— დღევანდელი დღისგან, შეიძლება ვთქვა, რომ არაფერს ველოდები, რადგან მთელი 18 წელია გამოვდივართ და არსაიდან საშველი არ არის. 1989 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ვარ. დავიღალე. საშველი აღარ არის. ნორმალური მთავარობა არ გვყავს, ხალხისთვის არავინ არის. მალე სამშობლო არ გვექნება. რადგან ყველაფერი იყიდება. მე რუსთავიდან ვარ. რუსთავში ამბობენ, რომ გალმა რუსთავი ალიევმა იყიდა. გოჯა-გოჯა, მისხალ-მისხალ ვკარგავთ სამშობლოს. გამოვდივართ და არაფერი იცვლება. მე არ ვიცი, როგორ სხედან სახლში მშვიდად ადამიანები და არ გამოდიან, როდესაც ქვეყანაში მსგავსი რამ ხდება.

***— თქვენ, როგორც ფორუმის მხარდამჭერი, ისე ხართ აქციაზე თუ თქვენი პროტესტის გამოსახატავად?***

— ჩემი პროტესტის გამოსახატავად. მაქვს პროტესტი, რომელსაც ვერ ვეგუები. ვინც გამოვა საქართველოს გადასარჩენად, ყველას გვერდში დავუდგები.

***— ოპოზიციაზე რას იტყვით?***

— რა გითხრათ, აქტიურები უნდა იყვნენ. არ არიან აქტიურები, ამიტომ არის, რომ ხალხი აღარ გამოდის. ხალხს ნიჰილიზმი დაეუფლა, რადგან რამდენიმე პარტია მართლა მიეყიდა ხელისუფლებას. ჩემთვის ზვიად ძიძიგური ზვიად გამსახურდია იყო, ისე მიყვარდა. ვერ ვეგუები, რომ ის დღეს ასე ჩუმად არის. ლეიბორისტებიც ლაპარაკობენ და არაფერს აკეთებენ. ყველა ლაპარაკობს მხოლოდ იმისთვის, რომ სკამები უნდათ პარლამენტში. უფრო შორს არ იყურებიან. პარლამენტიც აღარ გვეყოლება მალე.

**ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრების“ წევრი:**

— „სახალხო კრებამ“ მხარი დაუჭირა ამ აქციას, სოლიდარობას ვუცხადებთ „ქართველთა მარშს“.

***— ბატონო ირაკლი, უფრო მეტ ხალხს ელოდით?***

— მე არ ველოდი დღეს მეტ ხალხს. ყველას დიდი სურვილი გვაქვს, რომ ბევრი ხალხი მოვიდეს, მაგრამ არ ველოდი მეტ ხალხს.

***— მიზეზი რა არის, თქვენი აზრით?***

— როდესაც ვსაუბრობთ ხალხმრავალ აქციაზე, პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც მასობრივი იქნება, ამას წინასწარი მომზადება სჭირდება. ბევრი მიმართულებით არის სამუშაო ჩასატარებელი. ერთბაშად ხალხის გამოყვანა ადვილი საქმე არ არის, რთულია. თავისთავად, ეს აქცია, „ქართველთა მარში“, კარგი ინიციატივაა. ნებისმიერი აქტივობა აუცილებელია.

**გელა ნიკოლეიშვილი, ადვოკატი:**

— ვაპროტესტებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას. ხალხის ეს რაოდენობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ საზოგადოებას რწმენა აქვს დაკარგული არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ოპოზიციის მიმართაც. ეს სამწუხაროა. ხალხს უნდა დაენახვებინა თავისი ერთიანობა, მრავალრიცხოვნობა, რომ ჩვენ არ ვეგუებით ტერიტორიების დაკარგვას. ქართველმა ხალხმა ვერ მოახერხა თავისი ძალის დემონსტრირება, პირიქით, ალბათ, მათ იმის დემონსტრირება მოახერხეს, რომ ტერიტორიების დაკარგვასაც შეეგუება, ხელისუფლების განუკითხაობასაც და, სამწუხაროდ, რეალური პერსპექტივაც არ ჩანს, რომ რამე შეიცვალოს.

***— გამოდის, პროტესტი არ არის...***

— პროტესტი არის, მაგრამ პროტესტზე მეტად შიშია. შიშის გამოა შემგუებლობა. ასევე არის მოსყიდვა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების გარკვეული ნაწილისა. ეს ფაქტორები ერთად განაპირობებს იმას, რომ მინიმალური პროცენტი რჩება, რომელიც ბედავს ქუჩაში გამოსვლას, ზოგი კი გულგატეხილია, ხელი აქვს ჩაქნეული, რომ არაფერი ეშველება. ეს ყველაფერია მიზეზი იმისა, რაც მოხდა.

„ეროვნულმა ფორუმმა“ აქციების დაწყება დააანონსა. თუმცა, როდის გაიმართება მორიგი საპროტესტო აქცია, ამის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გაკეთდება.

სანიკიძემ „ქართველთა მარშს“ ახალი ეროვნული მოძრაობის დასაწყისი უწოდა.

ეროვნულმა ფორუმმა ტესტი ჩააბარა



# ბათუმის საქალაქო სასამართლომ ქურდობაში ბრალდებული გაამართლა

2011 წლის 26 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ემზარ მახარაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. ემზარ მახარაძეს პროკურატურა ბრალად სდებდა ქურდობას, კერძოდ, 2011 წლის 09 აგვისტოს ტაქსის მძღოლის ემზარ მახარაძის მიერ დაზარალებულის - ა.ა-ს კუთვნილი ხელჩანთის ფარულად დაუფლებას. ბრალდებულმა ემზარ მახარაძემ როგორც გამოძიების, ასევე საქმის არსებითი სასამართლო განხილვისას წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ სცნო.

საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულის ჩვენება დადასტურდა დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენებებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა ბრალდებულის ჩვენება მისი უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ აღმოჩნდა წარდგენილი ბრალდებით პირის დამნაშავედ ცნობისათვის. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ემზარ მახარაძე უდანაშაულოდ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და გაამართლა.

# სოფო ხორგუანი: „სააკაშვილი მერაბიშვილისა და ბოკერიას თავის ტკივილი გახდა“

## დაიშლება თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო

შორენა კოწოწაშვილი

რამდენად სერიოზულია ბოკერია-მერაბიშვილს შორის დაპირისპირება და რა შემთხვევაში შეიძლება ისინი ერთად დადგნენ? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერ სოფო ხორგუანთან.

— ბოლო დროს აქტიურად ვრცელდება ინფორმაციები ნაციონალური მოძრაობის შიგნით მიმდინარე დაპირისპირებებისა და განხეთქილებების თაობაზე. რამდენად მნიშვნელოვანია საკადრო ცვლილებებში გამოხატული ეს დაპირისპირება და რა ინფორმაციებს ფლობთ?

— ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილი და ზოგადად ეს გუნდი ფიქრობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პოსტსააკაშვილისეული ეპოქა. როდესაც დღეს ვისმენთ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებებს, რომ ევროპა როგორ აიტანს პუტინს მეორე ვადით, ძალიან საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი იგივე სააკაშვილის გეგმებზე, რომელსაც ხელისუფლებიდან წასვლა არანაირად არ უნდა. ფაქტია, რომ ეს გუნდი არსად წასვლას არ აპირებს. მათი სურვილია ძალაუფლების შენარჩუნება და უნდათ შეინარჩუნონ დაგროვილი ქონება. დემოკრატია მათ რომ არ აინტერესებთ, ეს ძალიან ნათლად ჩანს იგივე „ვიკილიქსის“ მასალებიდან, რომელიც გამოქვეყნდა. ვხედავთ, რომ გიგა ბოკერია და ძალიან მაღალი თანამდებობის პირები ისე ელაპარაკებიან ამერიკის ელჩს და პირდაპირ ამბობენ, რომ ჩვენ დემოკრატია არ გვაინტერესებს. ერთ-ერთი თემა, რომელიც იყო საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, გახსოვთ, მაშინ იყო 75/75-ზე, იქ პირდაპირ ამბობს, ჩვენ არ გვინდა ისეთი საარჩევნო ცვლილებები შემოვიტანოთ, რომ ოპოზიციამ ძალიან ბევრი ხმა აიღოს, რადგან მერე ეს ოპოზიცია რეფორმებს შეაჩერებს და რეფორმებს საფრთხე დაემუქრებაო. ეს პირდაპირ ჩანს „ვიკილიქსის“ მასალებიდან. ასე ლაპარაკობდა ასლან აბაშიძე. აბაშიძის ცნობილი ფრაზა იყო: ხალხმა რა იცის, ვინ უნდა აირჩიოსო. დაახლოებით იგივეს ამბობს, ოღონდ სხვა სიტყვებით გიგა ბოკერია. ოპოზიცია პარლამენტში დიდი რაოდენობით არ უნდა მოვიდეს იმიტომ, რომ რეფორმები შეჩერდებაო. ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ მახსოვს, სადაც მან პირდაპირ თქვა, ჩვენ რომ არ ვიყოთ ანუ ჩვენი ხელისუფლება რომ წავიდეს ხელისუფლებიდან, სამ თვეში იგივე დაბრუნდებაო. ეს არის ვანო მერაბიშვილის პირდაპირ აღიარება, სადაც ის ამბობს, რომ ჩვენ შვიდი წლის განმავლობაში სისტემა არ გვიშენებიაო. სისტემა, რომელიც სამ თვეში დაინგრევა, ჩათვალეთ, რომ არ არსებობს. ასე რომ, ეს გუნდი ძალიან კარგად ხვდება, სისტემა რომ არ აქვთ. ისინი დგანან ძალადობაზე. იქაც არიან ადამიანები, რომლებიც აზროვნებენ და ხვდებიან, რომ მიხეილ სააკაშვილი არ უნდა არც დასავლეთს და არც რუსეთს. ამიტომ არავის არ აქვს სურვილი, გადაიჩეხოს სააკაშვილთან ერთად. თუმცა ეს ადამიანები, მიუხედავად განხეთქილებისა, სერიოზულად არიან ერთმანეთთან გადაბმული. გადაბმულები მათი კრიმინალური საქმეებით, მათი დანაშაულობებით.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ სააკაშვილი გუნდის ერთიანობას ველარ ინარჩუნებს?***

— იცით რა, ყველაზე კარგი გაკვეთილი, რაც კარგად ისწავლა მიხეილ სააკაშვილმა ედუარდ შევარდნაძისაგან, ეს არის ბალანსის პოლიტიკა. დღეს რეალობა ასეთია: მიხეილ სააკაშვილი არის ყველაზე რეიტინგული ფიგურა ნაციონალურ მოძრაობაში და, შესაბამისად, ნაცმოძრაობაც მისია. მან მოახერხა, რომ დღეს მმართველ პარტიაში არც ერთი ფიგურა არ არის პოპულარული. ვერავინ დამისახელებს რომელიმე ფიგურას, მათ შორის თვით ქალაქის მერი გიგი უგულავა არ არის ის ფიგურა, რომელმაც შეიძლება ხვალ მიხეილ სააკაშვილი ჩაანაცვლოს. მე ვლაპარაკობ პოპულარობაზე, თუნდაც ნაციონალურ მოძრაობაში.

***— თუმცა, ქალბატონო სოფო, ფაქტია, რომ დიდი ხანია საუბრობენ უგულავას საპრეზიდენტო ამბიციებზე და ეს არც არის ალბათ გამორიცხული მერაბიშვილის მიერ ჩატარებული არჩევნებით.***



— საპრეზიდენტო ამბიციები უგულავას როგორი აქვს, ეს დღეს ნამდვილად მნიშვნელოვანი არ არის. დღეს ისეთი ვითარებაა, მთავარია რა გადაწყვეტილებას მიიღებს და რას ფიქრობს სააკაშვილი. რას ფიქრობს მერაბიშვილი და უგულავა, ეს ერთია. დღეს ისეთი ვითარებაა, მათაც ძალიან კარგად იციან, რომ თვითონ სააკაშვილის გვერდით, სააკაშვილი როგორი ექსცენტრიულიც არ უნდა იყოს, როგორ განცხადებებსაც არ უნდა აკეთებდეს, მან ძალიან კარგად იცის, თავი როგორ გადაირჩინოს. ამიტომ ის ცდილობს იყოს ყველაზე პოპულარული, ყველაზე რეიტინგული და ის იყოს მთავარი წარმმართველი ძალა.

***— მართალია, მთავარი ისაა, რას ფიქრობს სააკაშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ მნიშვნელოვანია უგულავას ინტერესებიც. მით უმეტეს, რომ თავისუფლების ინსტიტუტის გავლენა ამ ხელისუფლებაში უდიდესია.***

— მე ვფიქრობ, ერთადერთი საზრუნავი, რაც მათ აქვთ, ეს არის ის, რომ უნდათ ძალაუფლების შენარჩუნება; შეინარჩუნონ ის, რაც იშოვეს. მათ ეს ძალიან სჭირდებათ. თუ ამისთვის საჭიროა ხვალ ერთად იარონ გიგი უგულავამ და ვანო მერაბიშვილმა, ერთად გაივლიან. ისინი ერთმანეთზე გადაბმულები არიან კრიმინალური, მათი დანაშაულებრივი საქმიანობით.

***— ამბობენ, რომ ერთმანეთზე კომპრომატებიც აქვთო.***

— ერთმანეთზე კომპრომატები რომ ექნებათ შეგროვილი, ეს გასაგებია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სააკაშვილმა მოახერხა და არავის არ აძლევს უფლებას, რომელიმე უფრო წინ წამოიწიოს, ერთი რომ მეორეზე ფინანსურად ძლიერი არ იყოს. ვხედავთ ხომ, როგორი გადაადგილებები ხდება. როგორ ხდება რომელიმე ნაციონალის მეგობრის ბიზნესის ჯერ აყვავება და მერე სხვა ვინმეთი ჩანაცვლება. ეს იოლად ჩანს საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადაც ჩანს, რომელ ფირმაში ვინ ვის ანაცვლებს და ვისი წილი ვისი საკუთრება ხდება. შეგიძლიათ თქვათ, რომ დროის ამ მონაკვეთში ეს კონკრეტული გუნდია ძლიერი. მართალია ესენი ფიქრობენ გარანტიებსა და ქონების შენარჩუნებაზე, მაგრამ მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს არის მყარი ერთობა, რომელიც არ დაიშლება და ეს არის ის ხელისუფლება, რომელსაც საფრთხე არ ემუქრება და არ შეიცვლება. მათი ფიქრები შეიძლება ასეთია, ჩვენ 30 წელი კიდევ ვიქნებით, მაგრამ მათ სასამართლოს წინაშე მოუწევთ წარდგომა. მითია, რომ ეს არის უძლეველი ხელისუფლება, ძლიერი და მდგრადი გუნდი. ეს არის აბსოლუტური მითი.

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიგა ბოკერიას ინტერესებშია მერაბიშვილის უწყება დაიშალოს და პოლიცია ცალკე იქნეს გამოყოფილი. ითქვა, რომ მოადგილეების დონეზე მერაბიშვილის უწყებაში ბოკერიას ინტერესები ტარდება.***

— ქვეყნის ინტერესებშია და ბევრი დასავლელი პარტნიორის რჩევაც არის, რომ შს სამინისტრო დაიშალოს და ცალკე უნდა იყოს უშიშროება და ცალკე პოლიცია. ეს ქვეყნის ინტერესებშიც არის, რათა არ გვქონდეს ის „ენკავედე“, რომელიც გვაქვს. ბოკერიას კიდევ რა ზრახვები აქვს, სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს. რას ფიქრობს ბოკერია ამასთან დაკავშირებით, რამდენად საშიშია მისთვის ვანო მერაბიშვილი თუ არა, მე ერთი რამ ვიცი: ხვალ რომ დასჭირდეს გიგა ბოკერიას და ჩათვალოს, რომ მისთვის ყველაზე სერიოზული დასაყრდენი ვანო მერაბიშვილი იქნება, იქნება მერაბიშვილთან ერთად და დღეს თუ ერთს ამბობს ბოკერია მერაბიშვილზე, ხვალ მეორეს იტყვის. ჩემთვის არის მთავარი სხვა რამე. კერძოდ, როგორ ფიქრობს ეს ხელისუფლება, როგორი დამოკიდებულება აქვთ. მე ხომ არ ვამბობს ვიღაცის ნაამბობზე, ამათი ინტერესები გამოქვეყნდა „ვიკილიქსის“ მასალებში. ელჩთან საუბარში ღიად და პირდაპირ ამბობენ, რომ ჩვენ დემოკრატია არ გვჭირდება. ამას ამბობენ გიგა ბოკერია და სხვა მაღალჩინოსნები, რომ ჩვენ გვჭირდება ძალაუფლების შენარჩუნება. ბოკერია ლაპარაკობს ასლან აბაშიძის იდეოლოგიით. მაშ, რა განსხვავებაა მათ შორის?! რა განსხვავებაა შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის? — არაფერი. არანაირი განსხვავება მათ შორის არ არის. შეიძლება გიგი უგულავასთან, გიგა ბოკერიასთვის და ვანო მერაბიშვილისთვის სააკაშვილი ერთგვარი თავის ტკივილიც იყოს. ისინი ხვდებიან, რომ არც დასავლეთს და არც რუსეთს სააკაშვილი აქ არ სჭირდებათ.

## მიხეილ სააკაშვილი ვარშავაში ვიზიტს იწყებს

28 სექტემბრიდან საქართველო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში იწყებს ვიზიტს.




როგორც გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, ვარშავაში პრეზიდენტი მნიშვნელოვან ფორუმს — ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს დაესწრება.

— აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნების ლიდერების გარდა, სამიტს დაესწრებიან ევროკავშირის ხელმძღვანელი პირები და ევროგაერთიანების რამდენიმე წევრი სახელმწიფოს ლიდერი. საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო და ყოვლისმომცველი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო ეკონომიკური საკითხების განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შეთანხმება და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყოს, — განაცხადა მანჯგალაძემ და დასძინა, რომ ეს ქართველ ბიზნესმენებს საშუალებას მისცემს უფრო ფართოდ გავიდნენ ევროპულ ბაზარზე.

— ორმხრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს როგორც საქართველო, ასევე რეგიონის უსაფრთხოების საკითხები. აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ძალიან კარგი საშუალება ევროპასთან ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციისათვის. ეს არის ძალიან წარმატებული ნაბიჯი ევროპისაკენ მიმავალ გზაზე, — აღნიშნა მანჯგალაძემ.

**მედიანიუსი**

## დავით ბაქრაძე: პარლამენტარი პატიმართა ოჯახებისთვის ფულის გამოძალვას ცდილობს

ოპოზიციონერ დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ფეისბუკელ მეგობრებთან რესტორან „კოპალაში“ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით პურ-მარილების გამართვა პარლამენტარიზმის განვითარებას ხელს არ უწყობს.




დეპუტატმა ეს განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო დელეგაციებიდან მის გამოწვევაზე გამართული დებატებისას გააკეთა. ლორთქიფანიძემ ეს მის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ დევნას დაუკავშირა.

— საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩემი ჩამოშორება ხელოვნურად ხდება და ამის ხელშემწყობი თქვენ ხართ, — მიმართა დავით ბაქრაძეს და მას „ფეისბუკელ“ მეგობრებთან ამასწინანდელი შეხვედრა გაახსენა.

დეპუტატის მოსაზრებით, „ფეისბუკელებთან“ რესტორანში მოლხენა პარლამენტარიზმის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, რის საწინააღმდეგოსაც, მისი თქმით, ბაქრაძე ამტკიცებს.

დეპუტატის პოლიტიკური დევნა და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრებიდან მისი ჩამოშორება კი ამ პროცესის ხელშემშლელი ფაქტორია.

როგორც დიმიტრი ლორთქიფანიძის პასუხად დავით ბაქრაძემ აღნიშნა, მის ოპოზიციონერ კოლეგას საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს.

— საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ, როცა ფიქრობთ, რომ საპარლამენტო დელეგაციებიდან თქვენი გამოწვევა პარლამენტარიზმს რამით დააზიანებს. თუმცა გასაგებია, რომ პრივილეგიების დაკარგვას მტკივნეულად აღიქვამთ. საზოგადოებასთან, ფეისბუქელ მეგობრებთან უშუალო კონტაქტი და სამოქალაქო საზოგადოების წახალისება პარლამენტარის მხრიდან კარგი მაგალითია. ცუდი მაგალითი ის არის, როცა პარლამენტარი პატიმართა ოჯახებისაგან რაღაც დაპირებების სანაცვლოდ ფულის გამოძალვას ცდილობს. კარგი იქნება, თუ მომისმენთ, მაგრამ როგორც ჩანს, უზრდელობაც თქვენი გადაჭარბებული თავმოყვარეობის შემადგენელი ნაწილია, — მიმართა დავით ბაქრაძემ დიმიტრი ლორთქიფანიძეს.

**მედიანიუსი**

## ყურძნის მოსავლის 50 პროცენტი დაბინავებულია

კახეთში ყურძნის მოსავლის 50 პროცენტი უკვე მოკრეფილი და დაბინავებულია.

როგორც გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, წელს კახეთში ყურძნის მოსავალი 150 000 ტონას გადააჭარბებს.

— კახეთში „რთველი 2011“ ყველაზე აქტიურ ფაზაშია. კახეთში რთველი, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება, შემდეგ კი რაჭაში გადაინაცვლებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კახეთში 50 პროცენტი უკვე აღებული და დაბინავებულია. რაც მთავარია რთველი საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობს და მთავრობა ამ პროცესში აქტიურად არის ჩაბმული. გლეხები მოსავლის რეალიზაციისა და დაბინავების თვალსაზრისით ხელისუფლებისაგან საკმაოდ დიდ ფინანსურ დახმარებას ღებულობენ. თუკი შარშან ყურძნის მოსავლის ოდენობა 102 000 ტონა შეადგინა, წელს წინასწარი მონაცემებით მოსავალი 150 000 ტონას გადააჭარბებს, — განაცხადა მანგალაძემ და დასძინა, რომ მოსავლის აღება გრძელდება და საბოლოო მონაცემები რთველის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.



**მედიანიუსი**

## ციხეში სამხედრო ოფიცერი სერგო თეთრაძე გარდაიცვალა

სასჯელაღსრულების საპატიმრო დაწესებულებაში კიდევ ერთი პატიმარი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, სამხედრო ოფიცერი სერგო თეთრაძე გარდაიცვალა.

თეთრაძის გარდაცვალების ფაქტი „პირქელს“ მისმა მეუღლემ მარინა თეთრაძემ დაუდასტურა.

მისი თქმით, ოჯახს ექსპერტიზის დსკვნა ჯერ-ჯერობით არ მიუღია, წინასწარი ინფორმაციით კი, თეთრაძე გულის შეტევით გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა თეთრაძე მიმდინარე წლის 17 სექტემბერს დააკავეს.

როგორც მისმა მეუღლემ „პირველთან“ საუბრისას აღნიშნა, დაკავების მიზეზები მისთვის ცნობილი არ არის.

სერგო თეთრაძე თავდაცვის სამინისტროში 2007 წლამდე მუშაობდა, 2007 წელს კი ის დაკავებული თანმამდებობიდან გაათავისუფლეს.

**პირველი**

## რუსეთი აფხაზეთს 116 ტონა ჰუმანიტარულ დახმარებას გადასცემს

რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციების სამსახური აფხაზეთს ჰუმანიტარულ დახმარებას გადასცემს.

„როსბალტის“ ცნობით, 116 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი, აფხაზეთის მიმართულებით ამ დროისათვის მიემართება.ჰუმანიტარულ დახმარებაში კონსერვები, შაქარი და სხვა პირველადი მოხმარების ნივთები შედის.

აღნიშნული ჰუმანიტარული აქცია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ხელისუფლების დავალებით ხორციელდება.

არსებული ინფორმაციით, ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული ავტოკოლონა სოხუმში 28 სექტემბერს ჩავა.

**მედიანიუსი**

# ნესტან კირთაძე: „აფხაზებთან დიალოგი“ აუცილებელია

შორენა კოწოწაშვილი

სოხუმის დაცემის დღეს ლეიბორისტული პარტია კიდევ ერთხელ მიმართავს აფხაზურ მხარეს ორმხრივი დიალოგის დაწყების წინადადებით. შრომის პარტიაში იმედოვნებენ, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ახლად არჩეულ პირველ პირს აქვს ისტორიული შანსი აფხაზი და ქართველი ხალხის დაახლოების.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ პრესკონფერენცია გამართა და პრესას ის მიმართვა გააცნო, რომელიც ოფიციალურად გაეგზავნება აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.


ნესტან კირთაძე

— დღეს, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის და ქართული ეროვნული კატასტროფის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლის დაწყებიდან მე-18 წელს ლეიბორისტული პარტია ისევ გამოდის სამშვიდობო ინიციატივით და სპეციალურ მიმართვას ავრცელებს აფხაზეთის ამჟამინდელი პოლიტიკური ლიდერის ალექსანდრე ანქვაბის, აფხაზი ხალხისა და აფხაზური საზოგადოებისადმი, აგრეთვე მთელი საერთაშორისო საზოგადოებისადმი, — განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ და იმედი გამოთქვა, რომ ახალი რეალობა, რომელიც პოლიტიკურ სივრცეშია შექმნილი, ქვეყნის სასიკეთოდ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის მიერ.

ლეიბორისტები გამოდიან არაღიარების, მაგრამ ორმხრივი დიალოგის დაწყების, არაღიარების, მაგრამ გარდაუვალი თანამშრომლობის დაწყების ინიციატივით და იმედი აქვთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, ოფიციალური ბრიუსელი და სახელმწიფო დეპარტამენტი სათანადოდ შეაფასებენ ოპოზიციური პარტიის ინიციატივას.

— მივმართავ ბატონ ალექსანდრე ანქვაბს, როგორც აფხაზი ხალხის ამჟამინდელ პოლიტიკურ ლიდერს: თქვენ გაქვთ ისტორიული შანსი და უნიკალური შესაძლებლობა ორმხრივი სამშვიდობო დიალოგის დაწყებისა და გარწმუნებთ, რომ ეს ქართველი და აფხაზი ხალხის საერთო ინტერესებშია. აფხაზი ხალხის მომავალი, მისი თვითმყოფადობის, ენის, კულტურის იდენტობის გადარჩენა და მომავალი ერთიანი დემოკრატიული და ძლიერი ქართული სახელმწიფოს წიაღშია. ამიტომ მოვამზადოთ საფუძვლები ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრების პირველი ნაბიჯებისთვის. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ერთმანეთს და არ დავუშვათ ქართველი და აფხაზი მომავალი თაობების ერთმანეთთან გაუცხოვება, მით უმეტეს, მტრობა, — განაცხადა ნესტან კირთაძემ და იქვე დააკონკრეტა: „დავიწყოთ პირველი ნაბიჯები და ურთიერთობები პირდაპირი დიალოგის ორმხრივ ფორმატში“.

გუშინვე ლეიბორისტული პარტია გამოვიდა კიდევ ერთი ინიციატივით, რომ თბილისში დაარსდეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი, როგორც სამშვიდობო ინსტიტუცია და კერა ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგისთვის, ჰუმანიტარული ურთიერთობებისთვის.

კირთაძის აზრით, ქართულ-აფხაზური სახლის ბაზაზე უნდა დაიწყოს ზრუნვა აფხაზური ენის, როგორც საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული და გარანტირებული მეორე სახელმწიფო ენის შესწავლის, დაცვისა და განვითარებისთვის.

— დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ჩვენი სამშვიდობო ურთიერთობების გარდაუვალი რეალობაა, — აღნიშნა პრესკონფერენციის ბოლოს ნესტან კირთაძემ.

— ქალბატონო ნესტან, რამ განაპირობა თქვენი ეს მიმართვა, იმან, რომ აფხაზეთს ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჰყავს თუ საერთაშორისო ვითარება შეიცვალა ამ ოკუპირებულ რეგიონთან მიმართებაში?

— ეს არ არის პირველი ინიციატივა ჩვენი მხრიდან. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს გაჟღერდა პირველი ასეთი ინიციატივა ორმხრივი დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს მართლაც არის უკვე სხვა რეალობა, სხვა კონტექსტი. ის, რომ შეიცვალა პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მისი მიზანი და როლი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო უნდა იყოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართულებით. იცვლება პოლიტიკური ხელმძღვანელობა რუსეთის ფედერაციაში. ვიდრე ეს ოფიციალურად არ მომხდარა, მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის რუსეთის ფედერაციამ, მათ შორის უკვე მომავალმა პრეზიდენტმა პუტინმა ზუსტად უნდა იცოდეს ქართული საზოგადოების ნება, რომ ეს არის სამშვიდობო ურთიერთობები და ინიციატივები ორმხრივი ურთიერთობის დაწყებისათვის. 27 სექტემბერი უნდა ვაქციოთ ახალი ურთიერთობების აღდგენის დღედ.

# აფხაზებს ახალი პრემიერი ჰყავთ

## ლეონიდე ლაკერბაია ახალ მთავრობას უახლოეს მომავალში დააკომპლექტებს

თეა მარხვაი ე

აფხაზებს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავთ. ახალი პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის გადაწყვეტილებით, ამ პოსტზე ლეონიდე ლაკერბაია დაინიშნა. აფხაზური მედიის ცნობით, ახალი პრემიერი პრეზიდენტს ახალ მინისტრთა კაბინეტს უახლოეს მომავალში წარუდგენს.

ლეონიდე ლაკერბაია 1947 წლის 1 იანვარს დაიბადა.


ლეონიდე ლაკერბაია

1975 წელს დაამთავრა მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი.

1975-1985 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტოსაწარმოებში.

1985 1991 წლებში მუშაობდა პროდუქტების სწრაფი გაყინვის ექსპერიმენტულ ქარხანა „გაგრის“ დირექტორად.

სხვა აფხაზი პოლიტიკოსების მსგავსად, ისიც აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში.

ომამდე, 1991 წელს, ის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

1992 წლის დეკემბერში არძინბამ აფხაზეთის მთავრობის ვიცე-პრემიერად დანიშნა. ეს თანამდებობა მას 1995 წლის აპრილამდე ეკავა.

1995 წლის ივლისში აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. აფხაზურ დიპლომატიას ლეონიდე ლაკერბაია 1996 წლის აგვისტომდე ედგა სათავეში.

აღსანიშნავია, რომ ის ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ვლადისლავ არძინბას. მის სახელს უკავშირდება აფხაზეთში ოპოზიციურ-დემოკრატიული მოძრაობის ჩამოყალიბება.

2002 წელს ლეონიდე ლაკერბაიამ ოპოზიციური პარტია „აიტარას“ (აღორძინება) თანათავმჯდომარის პოსტი დაიკავა.

2005 წელს სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის ვიცე-პრემიერად დანიშნა. პრემიერი მაშინ ანქვაბი იყო. მათ ერთად მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ დაიკავებს ახალ მთავრობაში თანამდებობებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანქვაბი და ბაღაფში ერთი გუნდი იყვნენ, პოსტები შეიძლება ძველმა მინისტრებმაც შეინარჩუნონ.

არის ვარაუდი, რომ მან შეიძლება თანამდებობა მის კონკურენტ რაულ ხაჯიმბასაც შესთავაზოს. ამ უკანასკნელს უშიშროების სტრუქტურაში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

აფხაზური მედიის ცნობით, ახალი მინისტრთა კაბინეტი უახლოეს მომავალში დაკომპლექტდება.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ანქვაბმა ჩინოვნიკების ერთი ჯგუფი ციხეში გააგზავნოს. კორუმპირებული ჩინოვნიკები აფხაზეთში ბლომად არიან. ეს უკანასკნელი კი კრიმინალებსა და კორუმპირებულებს ვერ იტანს.

პრეზიდენტად არჩევისთანავე განაცხადა, რომ მისი მთავარი საზრუნავი წესრიგის დამყარება იქნება. ვნახოთ, რამდენად გამოუვა ეს. ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება.

მათივე განმარტებით, ანქვაბს დამნაშავეთა სამყარომ უკვე გამოუცხადა ომი. ექსპერტების თქმით, აფხაზეთში ბოლო ერთ თვეში მომხდარი გახმაურებული აფეთქებებით პრეზიდენტი გააფრთხილეს.

ვნახოთ, რითი უპასუხებს დამნაშავეებს „რკინის ალიკა“. ეს სახელი ანქვაბს აფხაზურმა მედიამ შეურჩია.

# ედუარდ კოკოითი: „არჩევნები არც საჭიდაო ხალიჩაა და არც სპორტული არენა“

## სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის სურვილმა უკვე 26 კაცი შეიპყრო

თეა მარხვაი ე

ცხინვალში საპრეზიდენტო არჩევნების სიო ქრის და, თუ ვინმე 1 საათი გაჩერდა ქუჩაში, ცესკოსკენ მიაქროლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუხსნელია ამდენი კანდიდატის გამოჩენა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 24 კაცის განაცხადი (მათ შორის, ერთი ქალია) მიიღო. გუშინდელი მონაცემებით კი პრეზიდენტობის მსურველთა არმია 26-მდე გაიზარდა. ოსური მედიის ცნობით, მათი რიცხვი ამ დღეებში კიდევ გაიზრდება. ცხინვალში ისეთი საარჩევნო ბაცილაა გავრცელებული. რომ 8 ოქტომბრამდე ცესკოში აუცილებლად შეეხეტება ვიღაცა. ცნობისათვის: ცესკოში განაცხადების მიღება 8 ოქტომბრამდეა შესაძლებელი.

სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრეზიდენტი ლუდვინ ჩიბიროვი ამ მრავალკანდიდატიანობით შეშფოთებული ჩანს.

— ის ფაქტი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ბევრი კანდიდატი მონაწილეობს, სულაც არ მიუთითებს რესპუბლიკის დემოკრატიულობაზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სამხრეთ ოსეთის საზოგადოებაში სერიოზული განხეთქილებაა, — განაცხადა ოსურ მედიასთან საუბარში ჩიბიროვმა.

მისი განცხადებით, კანდიდატების უმეტესობას წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა არჩევნებში მონაწილეობა, მით უმეტეს პრეზიდენტობა. სამხრეთელ ოსთა ყოფილი პრეზიდენტის შეფასებით, პირველკაცობის მსურველთა აბსოლუტურ უმრავლესობას არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს.

ჩიბიროვისგან განსხვავებით, გამოცდილების არქონა ნაკლებად ადარდებთ პრეზიდენტობის მსურველებს. მათ აქტიური საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაუწყიათ, რადგანაც მათი საქმეები ჯერ კიდევ შესასწავლია. ცესკოს ყველა მათგანი რეგისტრაციაში არ გაუტარებია.

აქტიური საარჩევნო კამპანია დაწყებული არ არის. ამის მიუხედავად, ცხინვალში სერიოზული დაძაბულობა შეიმჩნევა. აქაურ ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ძამბოლატ თედეევი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს და, როგორც ამბობენ, გამარჯვების რეალური შანსებიც აქვს.

ეს შესანიშნავად იცის ედუარდ კოკოითიმ. ამიტომაც ის ყველაფერს აკეთებს, რომ მისმა ყოფილმა მეგობარმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს. ოსური მედიის ცნობით, ცოტა ხნის წინ თედეევთან კოკოითის დაცვის უფროსი მივიდა და მას ცხინვალის დატოვება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკაცრი ზომების მიღებით დაემუქრა.

ასეთი მუქარების თედეევს ნამდვილად არ ეშინია. ამის მიუხედავად, ხმაური მაინც ატეხა. ოსური მედიის ცნობით, მან საგანგებო წერილით მიმართა სამხრეთ ოსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბელა პლიევას. ის ცესკოსგან მასზე განხორციელებული მუქარების სათანადო შეფასებას ითხოვს.

ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმაზეც ჩივის, რომ მან მოსალოდნელ პროვოკაციებზე ოსი სამართალდამცავების ყურადღების მიპყრობა ამაოდ სცადა.

ამის გარდა, თედეევი იმ მოქალაქეების დაცვასაც ითხოვს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ის ბოლო წლების განმავლობაში ცხინვალში ცხოვრობდა. აქაური კონსტიტუციით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ბოლო ათი წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში უნდა ცხოვრობდეს. თედეევს კი ბოლო ათი წელი აქ ნამდვილად არ უცხოვრია. ის რუსეთის ნაკრების მწვრთნელად 2001 წელს დაინიშნა და მას მერე ერთი ფეხი ალთას აქვს, მეორე ბალთას. ამის მიუხედავად, მან მაინც დაამტკიცა, რომ ბოლო ათი წელი სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდა. ის ადამიანები, რომლებმაც მისი ცხინვალში ცხოვრების ფაქტი დაადასტურეს, თედეევის თქმით, საფრთხის ქვეშ არიან.

პროვოკაციების მოწყობაში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება იქით ადანაშაულებს ძამბოლატ თედეევს. ეს უკანასკნელი ამ მიმართულებით მართლაც გამოცდილია. ათი წლის წინ კოკოითის გასაპრეზიდენტებლად მან ბევრი პროვოკაცია განახორციელა. კოკოითის ხათრით მაშინ ის თავის ახლო ნათესავს, სამხრეთ ოსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროვს დაუპირისპირდა. სხვათა შორის, ექს-პრეზიდენტის დედა თედეევია.

ახლა კოკოითი თედეევის წინააღმდეგ იმავე მეთოდებს იყენებს, რომლებსაც თედეევი კოკოითის გასაპრეზიდენტებლად აკეთებდა ათი წლის წინ.

კოკოითი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს, პირობას დებს, რომ პროვოკაციებს არავის მოაწყობინებს. ამის შესახებ მან უკვე რამდენიმე განცხადება გააკეთა.


ედუარდ კოკოითი

— საპრეზიდენტო არჩევნები კონსტიტუციის შესაბამისად ჩატარდება და ნებისმიერი გამომწვევი და თავხედური გამოსვლა მკაცრად იქნება აღკვეთილი. ამჟამად რესპუბლიკას რთული დრო უდგას, რამდენადაც წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. ზოგიერთი ადამიანის მოღვაწეობის წყალობით, რომლებიც სამხრეთ ოსეთისგან შორს არიან და პრეზიდენტად კენჭისყრისთვის არც კონსტიტუციური ცენზი და არც მორალური უფლება აქვთ, წინასაარჩევნო კამპანია მახინჯ, კომიკურ ფორმებს იღებს. ეს არის ხალხის, სახელმწიფოსა და კონსტიტუციის უპატივცემულობა, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის მთავრობის წევრებთან შეხვედრისას კოკოითიმ.

პრეზიდენტის შეფასებით, ასეთი ადამიანები პოლიტიკური დისტროფიკები არიან. მისი თქმით, მათ ერთი მიზანი აქვთ — საზოგადოების გახლეჩა.

— გამომწვევი და თავხედური გამოსვლები მკაცრად იქნება აღკვეთილი. არავის მივცემთ უფლებას, სიტუაცია მოარყიოს. ყველას ვაიძულებთ, პატივი სცენ ჩვენს ერს, კანონებს, სახელმწიფოს და არჩევნები კონსტიტუციის შესაბამისად ჩაივლის. არ დავუშვებთ ამომრჩევლებზე რაიმე სახის ზეწოლას, რითაც ზოგიერთი კანდიდატია დაკავებული. მათ ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატის მანდატიც კი არ აქვთ ოფიციალურად მიღებული. მივმართავ სამართალდამცველებს, ყველაფერი გააკეთონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაცვისათვის. გაიგოს ყველამ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია არც საჭიდაო ხალიჩაა და არც სპორტული არენა, — განაცხადა კოკოითიმ.

ეს უკანასკნელი ფრაზა აშკარად ძამბოლატ თედეევს ეკუთვნოდა. ის ხომ დღემდე რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია ჭიდაობაში. ისე, როგორც ჩანს, კოკოითის მისი ბოლმა ახრჩობს, რადგანაც ის ევროპის ჩემპიონია, კოკოითი კი 1985 წელს ძლივს გახდა საქართველოს ჩემპიონი. რა მაგის პასუხია და რატომ არ აბრუნებს საქართველოს ჩემპიონის ტიტულს უკან, განა თავად არა თქვა, ქართული არაფერი მინდაო?!

# რა პრეტენზიები აქვთ მოქალაქეებს სამოქალაქო სასამართლოს მიმართ

შორენა გონგლაძე




### ინტერვიუ ადვოკატ გრიგოლ გაგნიძესთან

*— როგორც ვიცით, მოქალაქეები, ადვოკატები და უფლებადამცველები ხშირად ჩივიან სისხლის სამართლის სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითობის პრინციპისა და კანონდარღვევების თაობაზე. თქვენი აზრით, თუ არის მოქალაქეების პრეტენზიები სამოქალაქო სასამართლოს მიმართაც და თუ გაქვთ უახლოესი პერიოდის კონკრეტული მაგალითი?*

— როგორც მოგეხსენებათ, ხშირია კრიტიკა სასამართლოს მიმართ, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე კოლეგებისა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა, საერთაშორისო მონიტორინგის უფლებამოსილი ორგანიზაციებისა და პერიოდულად ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდანაც. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თითქმის მხოლოდ სისხლის სამართლის სასამართლო ხდება ხშირი კრიტიკის ობიექტი საზოგადოების მხრიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლოებში ნაკლები კანონდარღვევებია, რაც ასე აუცილებელ ყავლგასულ ტერმინს, შეჯიბრებითობის პრინციპს, კიდევ ერთხელ აყენებს დარტყმის ქვეშ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ამჟამად თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო მორიგ საქმეზე, რომელიც, ფაქტობრივად, ერთ-ერთმა მოქალაქემ უზენაეს სასამართლოში წაგების შემდგომ მთხოვა შემესწავლა და რაიმე სავარაუდო კანონდარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიგვემართა შესაბამისი ორგანოებისათვის. საქმის მასალებში ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო მოსამართლეების საბოლოო გადაწყვეტილებებმა. ეს იყო უკანონობა, უსამართლობა თუ არაობიექტურობა, ეს ამ შემთხვევაში საზოგადოებამ განსაჯოს, მაგრამ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში მომუშავე კოლეგების მხრიდან ისმის ხოლმე ანალოგიური პრეტენზიები, რომლებიც აგრეთვე პერიოდულად მასმედიითაც შუქდება, ამრიგად მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ 2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ქალბატონმა დიანა გოგატიშვილმა კანონიერად მიიჩნია, რომ კერძო სააუდიტო დასკვნა, რომელიც საქმეში ფიგურირებდა, საქართველოს კანონის „აუდიტთა საქმიანობის შესახებ" მე-6 მუხლის კანონდარღვევით იქნა შედგენილი, ანუ დარღვეულ იქნა კანონის მოთხოვნის შემდეგი პრინციპი: მუხლი მე-6 განმარტავს, რომ აუდიტორული დასკვნა არის აუდიტორის მიერ სათანადო წესით შედგენილი, ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დასკვნა სამეურნეო სუბიექტის ანგარიშების უტყუარობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის სისრულისა და მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივთან მისი შესაბამისობის შესახებ.

*— სასამართლომ რა პოზიცია დაიკავა?*

— სასამართლომ ობიექტურად დაასაბუთა სააუდიტო დასკვნის კანონდარღვევა და შესაბამისი კანონის საფუძველზე ამავე საქმეში ობიექტურად იმსჯელა იმაზე, რომ ვერ გაიზიარებდა კერძო აუდიტის დასკვნას და გაიზიარა სახელმწიფო ექსპერტიზა, მაგრამ მანვე არ გამოიყენა სსს კოდექსის 137-ე მუხლის მოთხოვნა — განცხადება სიყალბის შესახებ. პუნქტი ზემოთ ხსენებული არგუმენტებით, სასამართლოს ჰქონდა იმის საფუძველი, რომ ეფიქრა დოკუმენტის სიყალბეზე, რადგანაც ამა თუ იმ დოკუმენტის სიყალბის დადგენა მხოლოდ შესაბამისი ორგანოების პრეროგატივაა და წარმოდგენილი მტკიცებულების ნამდვილობის შემოწმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით.

ამ საქმეზე განსაკუთრებით მომჩივნისთვის ზიანის მომტანი ის არის, რომ და უფრო მეტიც, თუ შეიძლება, მთელი კურიოზი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე საქმეში მეორე ინსტანციაში გასაჩივრების შედეგად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასამართლო ამ შემთხვევაში აბსოლუტურად პირიქით მოიქცა, წაახალისა რა იგივე სააუდიტო დასკვნა, გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ არგუმენტირებულად კანონიერად უარყოფილი კერძო სააუდიტო დასკვნა და სრულად იგნორებულ იქნა სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნა, რაც სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას აბსოლუტურად პირიქით ხდება.

*— ეს დავა საბოლოოდ რითი დასრულდა?*

— ამჟამად მოქალაქემ საჩივრები შეიტანა შესაბამის სტრუქტურებში, რათა იქ მაინც იპოვოს სამართალი, რადგან გაბერილი და გაზვიადებული სააუდიტორო დასკვნის შედეგად ადგება სერიოზული მატერიალური ზიანი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული, როდესაც კოლეგები და მოქალაქეები ჩივიან, რომ სამოქალაქო საქმეებში სისხლის სამართლის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევებში მოსამართლეები ხშირად მტკიცებულებებს საგამოძიებო ორგანოებს არ გადასცემენ.

## მოსკოვში ოპოზიციონერი აქტივისტები დააკავეს

რუსეთში ანტისახელისუფლებო აქციაზე ოპოზიციონერი აქტივისტები დააკავეს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, დაკავებულთა შორის არის მემარცხენე ფრონტის კოორდინატორი, სერგეი უდალცოვი. მას ბრალად მოსკოვში გზის უკანონოდ გადაკეტვა ედება.

ამ დროისთვის უდალცოვი მოსკოვის ერთ-ერთ დროებითი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

ოპოზიციის წარმომადგენლები „ედიანაია როსიას" პარტიულ ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. როგორც ცნობილია, რუსეთის მმართველი ძალის გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს მოქმედი პრემიერი და ექს-პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი იყრის.

**მედიანიუსი**

# რონ ჯანაშია: „ჟიული შარტავას გადარჩენა შესაძლებელი იყო"

## სოხუმი მაშინ დავკარგეთ, როცა შევარდნა ემ აფხაზეთში ომი დაიწყო

გულიკო ბალაძე

აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტიდან 18 წლის შემდეგაც არ დამდგარა პასუხისმგებლობის საკითხი ამ ომის წამოწყებასა და დამარცხებაში დამნაშავე პირების მიმართ. აფხაზეთის ომში დამარცხებული მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე კი დამარცხების აღმნიშვნელ ტრაგიკულ თარიღებთან დაკავშირებით მასმედიის წარმომადგენლებს ესაუბრება ხოლმე და ცდილობს მომხდარი დანაშაული სხვას გადააბრალოს. არადა, მისი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს სათავეებთან ყოფნის პერიოდში მუდმივად გვესმოდა, რომ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებელი სწორედ ის იყო.

ისე წავიდა ედუარდ შევარდნაძე თავისი პოლიტიკიდან, არავის დაუკითხავს. თუმცა, მაშინ აცხადებდა, რომ მზად იყო ყველა კითხვისთვის ეპასუხა და პასუხი ეგო. ე.წ. რევოლუციური ხელისუფლების პირობებში ის კრწანისის რეზიდენციაში მშვიდად განაგრძობს ცხოვრებას და დროდადრო ინტერვიუებით გვახსენებს თავს. ედუარდ შევარდნაძის ბოლო ინტერვიუ 27 სექტემბრის მარცხს მიეძღვნა. ინტერვიუში შევარდნაძის განცხადებების გამო აღშფოთებული პარლამენტის ყოფილი წევრი **რონ ჯანაშია** დაგვიკავშირდა.

— ყველაფერი თვალწინ მიდგას, რაც მოხდა 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთში და რა დღეში ვიყავით. ეს ადამიანი კი აბდა-უბდას ყვება და ჰგონია, იმ ხალხიდან ყველა დაიხოცა, ვინც აფხაზეთის ომში მონაწილეობდა და ყველაფერი იცის. შევარდნაძე ყვება, როგორც კი ზვიადი ჩამოვიდა, ოჩამჩირეში მოსულა, სოხუმის მეომრები ყველა ზვიადისტი ყოფილა. თითქოს ამიტომ სოხუმში მყოფმა ყველა მებრძოლმა დატოვა პოზიციები და გადმოვიდნენ ოჩამჩირეში ზვიადის მხარეს. არადა, ის ხალხი, ვინც სოხუმში იბრძოდა, დღეს ცოცხალია. ბევრი მათგანი 27 სექტემბერს გმირთა მოედანზე მივა (თუმცა, 27-ის აღნიშვნის წინააღმდეგი ვარ და იქ არ მივდივარ. რა დღეა ეს, ვინმემ ამიხსნას! ეს არის ჩვენი უბედურების, არაკაცობის, ქვეყნის გაყიდვის დღე. მემორიალთან ყოველდღე დავდივარ და პატივს მივაგებ ომში დაღუპულებს). ჩვენ სოხუმი მაშინ დავკარგეთ, როცა შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო, ანუ ომის დაწყებაც ის იყო და გაქცევაც. დღეს შევარდნაძეს უნდა, ყველაფერი სხვას დააბრალოს. დღევანდელ ხელისუფლებას არანაირი ბრალი არ მიუძღვის სოხუმის დაცემაში და არც ზვიადისტობაში. ბრალს სხვას დებს კაცი, რომელმაც აფხაზეთიდან იარაღი გაიტანა, ხალხი უიარაღოდ დატოვა, სოხუმის ბრიგადა გააუქმა — მეომრებს უთხრა, სახლში წადით, ომი დამთავრდაო. ფრონტის წინა ხაზი მებრძოლებისაგან მთლიანად დაცარიელებული იყო და იმ ხაზზე იდგა აფხაზების, რუსებისა და ჩვენი დამკვირვებლები. ომი დამთავრებული გახლდათ, ხოლო საბრძოლო ბრიგადები გაუქმებული. როცა აფხაზებმა გაისროლეს და მტერი შემობრუნდა, ჩვენ საბრძოლველად მზად არ ვიყავით. ხელშეკრულების თანახმად, ფრონტი დაშლილი იყო, ხოლო ბრიგადა — გაუქმებული. ვინც მოვიდა, თავისი ინიციატივით მოვიდა, თორემ მათი დაძახება ჩვენთვის არავის დაუვალებია (ვისაც იარაღი ჰქონდა სახლში შემორჩენილი, მოიტანა და იბრძოდა თავისი ქვეყნის დასაცავად). მათი დაძახების უფლება არც გვქონდა. მითხარით, რომელი მეომარი იბრძვის უარტილერიოდ, რომელი მეომარი ომობს ყველანაირი იარაღით შეიარაღებულ მტერთან (ცარიელი ხელებით) — რუსეთის მომარაგებულ ჯართან ავტომატური იარაღით? ჩვენ ომის განახლებიდან მეორე დღეს უნდა დაგვეტოვებინა სოხუმი. უბრალოდ, ჩვენ ველოდით შევარდნაძის ჩამოსვლას სოხუმში. შევარდნაძე ჩამოფრინდა და ჩამოჰყვა თავისი მილიციონერები და გაის მუშაკები, ხალხი, რომლებსაც თავის ცხოვრებაში იარაღი არ გაუსვრია. ეს ხალხი მეორე დღეს უკვე იარაღს ყრიდა და გარბოდა სოხუმიდან იმიტომ, რომ მტერი ყველანაირი იარაღით გვბომბავდა. როგორ უნდა გაჩერებულიყო იქ კაცი, როცა 15-20 კილომეტრიდან გვესროდნენ, ჩვენ კი იარაღი არ გვქონდა, რომ დავპირისპირებოდით. უბრალოდ, ჩვენ ველოდით, ნაშუადღევს ოჩამჩირიდან ჩვენი საჯარისო ფორმირებები გადმოვიდოდნენ სოხუმში და რამენაირად უნდა გაგვეძლო. ეს იყო ჩვენი მიზანი. ამიტომ ვიყავით ორი კვირის განმავლობაში სოხუმში.




*— თქვენ გეგონათ, შევარდნაძე მოახდენდა მობილიზაციას, დახმარებას გაგიწევდნენ და ცდილობდით დახმარების მოსვლამდე მტერი შეგეკავებინათ?*

— დიახ. მხედრიონელები იყვნენ ოჩამჩირეში. იქ იყო კიდევ თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ფორმირებები. ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი ცდილობდნენ გადმოსვლას და გატანილი იარაღის შემოტანას სოხუმში, თორემ ჩვენ მტერს როგორ შევაკავებდით. მით უმეტეს, სოხუმელების ნაწილი იქიდან გასული იყო. რა შუაშია ზვიად გამსახურდიას დაბრუნება. თურმე მთელი სოხუმის ბრიგადა და იქაური მეომრები ზვიადისტები ყოფილან და დაუტოვებიათ პოზიციები და გაქცეულან სოხუმიდან. სად გვქონდა ჩვენ პოზიცია? რომელი პოზიცია გვქონდა ჩვენ საერთოდ იქ, როცა თვითონ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და ყველაფერი გაუქმებული იყო?! ეს არის არამზადა კაცი, ლანძღავს ხალხს, ლანძღავს მეომრებს, ლანძღავს საცოდავ დაღუპულებს. ამით უნდა თავი იმართლოს. ახლა ლაპარაკობს, მე უნდა ჩავსულიყავი სოხუმში, მე უნდა მივსულიყავით არძინბასთან, ეს იყო ჩემი შეცდომაო. სწორედ ეს იყო მისი შეცდომა კი არა დანაშაული — არ ჩავიდა არძინბასთან, არ დაელაპარაკა და ახლა ლაპარაკობს, რომ კიტოვანმა და სიგუამ მოატყუეს. ვინ არ მოატყუა? ყველამ მოატყუა და ახლა სხვას აბრალებს. ხელისუფალი, რომელსაც ყველა ატყუებს — საჯარისო ფორმირება, თავდაცვა, რა ხელისუფალია?

***— ბატონო რონ, დროდადრო მიყვებიან ხოლმე ომის ფრაგმენტებს. დღესაც ერთმა პოლიტიკოსმა მითხრა, რომ სოხუმის ჩაბარება ადრე იყო დაგეგმილი, მაგრამ შევარდნაძე ლამის დაჩოქილი ეხვეწებოდა რუსეთის ხელმძღვანელობას, ჯერ არ აიღოთ სოხუმი, სანამ გამსახურდია არ ჩამოვაო. როგორც ჩანს, ამ ომში დამარცხების გამსახურდიასთვის გადაბრალება ადრიდანვე ჰქონდათ ჩაფიქრებული.***

— შეიძლება, რადგან ომში დამარცხება მართლა ზვიად გამსახურდიას გადააბრალეს. სინამდვილეში გამსახურდიაც მოატყუეს. ვინ მოატყუა არ ვიცი, მაგრამ მაშინ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა მართლა შეცდომა იყო. იმიტომ, რომ ახლა შევარდნაძე თავის დამარცხებას გამსახურდიას აბრალებს. გარდაცვლილზე ან არაფერს ამბობენ, ან კარგსო, მაგრამ ჟიული შარტავა იქ ომის მიმდინარეობაზე გავლენას ვერ ახდენდა. ის ომში არ ერეოდა და ვერც ჩაერეოდა. მოვიდოდა, იკითხავდა, როგორ იყო საქმე. პოლიტიკური საქმეების მოგვარებაში ერეოდა. ელიავასთან გადარეკავდა, გადმორეკავდნენ... ელიავამ გვიღალატა, ლოთიმ გვიღალატაო ამბობენ... რა უნდა ეღალატა ლოთის? ლოთის მთლიანად 500 კაცი არ ჰყავდა. ანდა, მათი მოსვლა სოხუმში მტერს როგორ შეაჩერებდა. რომელ ლოთის და ელიავას შეეძლო სოხუმის შენარჩუნება?!

***— გინდათ თქვათ, შეუძლებელი იყო სოხუმის შენარჩუნება იმ პირობებში, როცა იარაღი გატანილი იყო?***

— ჩვენი ერთადერთი ოცნება იყო სოხუმიდან გატანილი ტექნიკის უკან შემოტანა. ოჩამჩირის ბრიგადიდან ერთი ცალი იარაღიც არ გაუტანიათ — არც ტექნიკა და არც არანაირი იარაღი და ვფიქრობდით, რომ სოხუმში შემოვიდოდნენ. ოჩამჩირის ბრიგადას ვინ დაატოვებინა იარაღი? ოჩამჩირელებს კი არ ვლანძღავ. ოჩამჩირელებს ვინ რას ეკითხებოდა. იქ მხედრიონი და სულ სხვა ხალხი ხელმძღვანელობდა. იმ ხალხს ვინ დაატოვებინა ბრიგადა? მათი კუთვნილი ტექნიკა ზუგდიდში ვნახე, ერთი პატრონა არ გაუსვრიათ. მიპასუხოს შევარდნაძემ, ოჩამჩირის ბრიგადა ტანკებით და არტილერიით ვინ გადმოიყვანა აქეთ? ოჩამჩირელებმა გადაწყვიტეს იარაღის გამოტანა აფხაზეთიდან? იმისთანა ბრიგადა სოხუმში იდგა და უიარაღოდ ერთი თვე იცავდა სოხუმს. ხომ შეეძლოთ შემოსულიყვნენ და ერთი თვე მაინც შეეკავებინა მტერი.

***— ე.ი. სოხუმი დაეცა თუ არა, ოჩამჩირეში მდგარი მხედრიონელების ბრიგადაც აფხაზეთიდან გამოემართა?***

— სოხუმი რომ დაეცა, სოხუმელების ნახევარი მთიდან წამოვიდა, ნახევარი ზღვით გამოვიდა. ოჩამჩირეში მდგარი საჯარისო ფორმირებების მთელი სამხედრო ტექნიკა მთლიანად ზუგდიდში დამხვდა. რამდენიმე ათეული ტანკი ლოთის ჩააბარეს. ოჩამჩირეში დაგვეტოვებინა შეიარაღებაც და საჯარისო ფორმირებებიც.

***— ანუ დაცვის ხაზი გადმონაცვლებულიყო ოჩამჩირეში.***

— დიახ, დაცვის ხაზი ოჩამჩირეში გაგვეკეთებინა. დღეს პირობითი ხაზი ოჩამჩირეში იქნებოდა. ახლა შევარდნაძე რომ ლაპარაკობს, თითქოს უიარაღო ხალხმა ზვიადისტობის გულისთვის სოხუმი დატოვა. 27 სექტემბერს ხალხი გმირთა მოედანზე კი არ უნდა მიდიოდეს, არამედ კრწანისში შევარდნაძესთან და პასუხს სთხოვდეს. კიტოვანი და სიგუა მისი აწყობილი იყო, სამოქალაქო ომი რომ მოაწყვეს თბილისში. სამოქალაქო ომი იყო სოხუმში გადასვლის და შემდეგ მისი დაცემის საბაბი.

***— მახსოვს, თქვენ ინტერვიუში საუბრობდით, 27 სექტემბერს შარტავა მინისტრთა საბჭოს შენობიდან შევარდნაძეს (რომელიც სინოპში იმყოფებოდა) შველას როგორ სთხოვდა და არ დაეხმარა. მე მგონი, აღარ უნდა შევარდნაძეს ამის გახსენება.***

— მე ვიმყოფებოდი მინისტრთა საბჭოს ტერიტორიაზე მაშინ. მერე მე ჩამოვედი იქ, სადაც შევარდნაძე იჯდა. იქ შემხვდა ორი გენერალი გურგენიძე და უჩავა. უჩავას ვუთხარი, მინისტრთა საბჭოსთან მტერია და ჟიული შარტავას დაიჭერენ-მეთქი. გურგენიძეს არაფერი უთქვამს. უჩავამ (რომელიც ახლა დაჭერილი ჰყავთ) მითხრა, შენ თანამდებობის პირი ხარ და რას ლაპარაკობ, არძინბას ძალა გამოელია და შევარდნაძესთან მოლაპარაკებას თხოულობსო. ვუთხარი, ბატონო გენერალო, რა დროის მოლაპარაკებაზეა საუბარი, როცა მინისტრთა საბჭოსთან მტერია-მეთქი. დამცინეს. 50 მეტრო არ მქონდა გავლილი (თითქმის — 200-მეტრიანი დერეფანი იყო), ზვიადისტმა მეკავშირემ იყვირა, ბიჭებო, ბიჭებო, შარტავა ალყაშია და შველას თხოულობსო. მერე იქ შეიქმნა ჯგუფი, მათ შორის, მგონი, თევზაძე იყო და, მეორე ბე-ტე-ერით გავიდნენ სოხუმისკენ შარტავას დასახმარებლად (არ მინდა ყველაფერი ბოლომდე მოვყვე, დიდი ისტორიაა), მაგრამ ნახევარ საათში უკან დაბრუნდნენ... შემდეგ გადაღებული კადრები გინახავთ ალბათ, რა დღეში იყო შარტავა და როგორ დასრულდა ყველაფერი.

***— ანუ დააგვიანეს დასახმარებლად გასვლა?***

— დიახ. იმ დროს შევარდნაძე შტაბში იჯდა, რომელიც სინოპში იყო. შტაბში ვუთხარი, ეთქვათ შევარდნაძისთვის, რომ შარტავა დახმარებას თხოულობდა. იმ დროს მე იქ საქმე მქონდა და გავიარე. იქ სამარისებური სიჩუმე იყო. მე რომ მივედი, მაშინ რომ გასულიყვნენ დასახმარებლად, შარტავა გადარჩებოდა. 10 წუთით ადრე რომ მისულიყვნენ, შარტავას და მინისტრთა საბჭოში მყოფ ჯგუფს უშველიდნენ — გადმოატარებდნენ ლენინის მოედანს და სამშვიდობოს იქნებოდნენ. რამდენიმე კაცმა ადრე დატოვა შენობა და გადარჩა.

***— სხვათა შორის, ყველა ასეთ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით შევარდნაძე საუბრობს ხოლმე ჟურნალისტებთან და ახალ-ახალ ეპიზოდებს ყვება. რატომ აკეთებს ამას?***

— ეს ამბავი მიჩუმათებულია და დამნაშავეებს პასუხს არ სთხოვენ. ბოლო ინტერვიუში, კაცმა, რომელმაც აფხაზეთი ჩააბარა, შევარდნაძე თავს იმართლებს. მაშინ შევარდნაძე თავის პრობლემებზე ფიქრობდა, რომ როგორმე გადაეჭრა თავისი თანამდებობისა და ხელისუფლების შენარჩუნების საკითხი. როდესაც ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა, თბილისში არ ჩამასწროსო, სასწრაფოდ ჩააბარა სოხუმი.

# გალაქტიონის იუბილეს თბილისში იზეიმებენ

ეკა ირემაშვილი

**პირველ და ორ ოქტომბერს თბილისში პოეტთა მეფის გალაქტიონ ტაბი ის 129 წლის იუბილე აღინიშნება. ღონის იების ორგანიზატორი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების" პრეზიდენტი ბონდო კობა ეა.**

პროექტის ეგიდით ეს უკვე მეოცე ღონისძიებაა, რომელიც გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა გახსენებას და მათთვის პატივის მიგებას ემსახურება. სპეციალურად გალაქტიონის 120 წლის იუბილესთვის გამოიცა 650 გვერდიანი წიგნი, რომელიც პირადად ბონდო კობაძემ შეადგინა და მისი სრულყოფისთვის ერთი წელიწადი დასჭირდა.

— ბევრი ადამიანი მხარში ამომიდგა. გალაქტიონი ხომ ქართველებისთვის ყველაზე გამორჩეული პოეტია. ბევრმა ადამიანმა განსაკუთრებული მოგონება უძღვნა გალაქტიონს. აწ განსვენებულმა ოტია იოსელიანმა სიკვდილამდე თვენახევრით ადრე გადმომცა თავისი მოგონებები გალაქტიონზე, რომელიც წიგნშიც შევიტანე. ამ პროექტს დიდი მოლოდინით ელოდნენ აწ განსვენებული ზინაიდა კვერენჩხილაძე, ოტია იოსელიანი, გიზო ნიშნიანიძე და დურმიშხან ცინცაძე, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ზეციურ საქართველოში გადაინაცვლეს, — გვითხრა ბონდო კობაძემ.

ორდღიანი ღონისძიებები პირველ ოქტომბერს ვაკეში გალაქტიონის ძეგლთან დაიწყება, მერაბ ბერძენიშვილის კულტურულ ცენტრ „მუზაში" გაგრძელდება და 2 ოქტომბერს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დასრულდება.

— ეს ჩემი უკვე რიგით მეოცე პროექტია. წელს დახმარებისთვის არც კულტურის სამინისტროს მივმართე და არც სხვა სამთავრობო სტრუქტურებს. მხოლოდ თბილისის მერიას მივმართე წერილობით, რომ გამოეყოთ გვირგვინები და ჰოლანდიური ყვავილები, გალაქტიონის ძეგლისა და მთაწმინდაზე განსვენებული ჩვენი სასახელო თანამემამულეების საფლავების შესამკობად. ამ პროექტის განხორციელებაში მხარში ამომიდგნენ სხვადასხვა შპსები, კერძო პირები, ნათესავებიც კი დამეხმარნენ. პარლამენტის წევრმა ვანის საარჩევნო ოლქიდან ბეჟან ხურციძემ მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რომ ღონისძიება უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო. მერაბ ბერძენიშვილმა სრულიად უსასყიდლოდ დაგვითმო ცენტრი „მუზა", იმისთვის, რომ


გალაქტიონი

ჩემ მიერ გამოცემული საიუბილეო წიგნის პრეზენტაცია გავმართოთ. პრეზენტაციაზე მოწვეული არიან მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, ხელოვანები, ყველა ის ადამიანი, ვისაც გალაქტიონი გამორჩეულად უყვარს, — ამბობს ღონისძიების ორგანიზატორი.

მომავალ წელს ფონდის პრეზიდენტი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის 150 წლის იუბილეს აღნიშნავს. საიუბილეო ღონისძიებები მის მშობლიურ თერჯოლაში, სოფელ სიმონეთში აღინიშნება. საიუბილეო ღონისძიებები 2012 წლის სექტემბერში თბილისში დაიწყება და თერჯოლასა და სიმონეთში დასრულდება.

— მინდა ჩემი პროექტები ქართული სულიერების გადარჩენას და აღორძინებას მოვახმარო. სამწუხაროდ, შურს ვგრძნობ ჩემ მიმართ, რაც ძალიან საწყენია. ასეთი პროექტები გულთბილად და ერთსულოვნებით უნდა გაკეთდეს და არა შურით და ბოღმით. ყოველი ჩემი ახალი პროექტი დიდი რისკია. გალაქტიონის წიგნი რომ გამოვეცი, 5.500 ლარი მქონდა სტამბის ვალი, მაგრამ ჭეშმარიტი მამულიშვილების თანადგომით, ამჟამად მხოლოდ 500 ლარი დამრჩა გადასახდელი. გალაქტიონისადმი მიძღვნილი ასეთი კრებულის „დაბადებას" ყველა მილოცავს, — ამბობს საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორი.

# „ჩვენებურები" ბათუმში გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

28 სექტემბერს საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები" წელს ბათუმის განახლებულ მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში გაიხსნება. წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ირანიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან და სომხეთიდან ჩამოსული კოლექტივები და შემსრულებლები. თურქეთიდან საქართველოში ჩამოვა ინეგოლის მოცეკვავეთა ანსამბლი, ამერიკიდან — ბავშვთა ანსამბლი „თამარიანი" (თამარ დავითაშვილის ხელმძღვანელობით), ირანიდან — მაზანდარელი ქართველების ინსტრუმენტული ანსამბლი, სომხეთიდან — ბავშვთა მოცეკვავეთა ანსამბლი, აზერბაიჯანიდან — ფოლკლორული ანსამბლი „ჰერულა". აფხაზეთიდან წარმოდგენილი იქნება დუეტი — ხათუნა გადელიას (საფრანგეთი, პარიზი, ოპერის მომღერალი) და რუსუდან სერგიას (თბილისი) შემადგენლობით. მათ მიერ ფესტივალის ფარგლებში შესრულდება პრემიერა — სიმღერა აფხაზეთზე.

ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ისრაელიდან საქართველოში ჩამოვიდა ბერშევას ფოლკლორული ანსამბლი „შალვა", რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, ფოლკლორის საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში ქართული ჩოხებით დასაჩუქრდა. კულტურის სამინისტროში ქართული ხალხური ცეკვის ფორმების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა მირზა (პაპუნა) დავითაიამ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ცხადაძემ ქართული-ხალხური ცეკვის ფორმები ისრაელში მოქმედ ანსამბლ „ბერშევას" წევრებს პირადად გადასცეს. ცერემონიალს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ქირია, ორივე სამინისტროს წარმომადგენლები, ანსამბლის წევრები და ქართული კულტურის მე-15 საიუბილეო ფესტივალის „ჩვენებურების" ორგანიზატორები ესწრებოდნენ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა მირზა (პაპუნა) დავითაიამ 2010 წლის 23 მარტს მთავრობის კანცელარიის სხდომათა დარბაზში ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიზანია ქართული დიასპორისთვის კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება, პერიოდულად სხვადასხვა კულტურუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- 100კვ.მ ბინა უნივერსიტეტის წინ, ჭავჭავაძის გამზ. 2 ,მე-3 სართული. საუკეთესოა ოფისისთვის. 130 000. ტელ: 577-74-70-73.
- მარტყოფში ორსართულიანი სახლი, ხეხილიანი ბაღით. მის.: გარდაბნის რაიონი,სოფელი მარტყოფი, ცენტრში, პირველ სკოლასთან. ტელ.: 598-68-60-41.
- კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 1000კვ. მ ფართით, ყველანაირი ხეხილიანი ბაღით, აგრეთვე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთით. ტელ.: 599-27-17-95.

# საქართველოს სომეხი მხატვრები გამოფენილია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „საქართველოს სომეხი მხატვრები — ა.ოვნათანიანიდან გ.ხაჩატურიანამდე. დიდი ისტორიის ფრაგმენტები". ექსპოზიციაზე მისულ დამთვალიერებელს პირველად მიეცა საშუალებ,ა იხილოს 130-მდე თეატრალური ესკიზი, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. ექსპონატები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ლიტერატურის მუზეუმი და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის ფონდებიდან. გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სომხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში. ექსპოზიცია ხელოვნების მუზეუმში 4 ოქტომბრამდე დარჩება.

— XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში მცხოვრები სომეხი მხატვრები აქტიურად იწყებენ თბილისის კოლორიტისა და მრავალფეროვანი ლანდშაფტების ასახვას. ადგილობრივ გარემოში ინტეგრირებული სომეხი მხატვრები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართული სამხატვრო პროცესებში. ორი ნაკადის თანაარსებობამ შექმნა განუმეორებელი თბილისური ფენომენი — საქართველოს სომეხი მხატვრების შემოქმედება, — ნათქვამია ეროვნული მუზეუმის მიერ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.
- ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 568-657-486; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა (მწვავე და ქრონიკული, გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი), ორგანიზმის წმენდა ტოქსინებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი სალომე.
- ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა, სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება) მცენარეული საშუალებებით. ტელ: 234-02-38; 790-503-411 ქ-ნი ნონა.

# ტორპედოს ახალმა მწვრთნელმა ევროპას დაუმიზნა

საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ გუშინ სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე წარადგინა. გეგუჩაძემ „ტორპედოსთან“ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მუშაობას 1 ოქტომბრიდან შეუდგება.

ქუთაისურ გუნდში მას ასისტენტობას გურამ ასპინძელაშვილი და მეკარე მწვრთნელი დავით ჯანელიძე გაუწევენ. გარდა იმისა, რომ გეგუჩაძე „ტორპედოს“ თავკაცი იქნება, ქუთაისურ კლუბში საფეხბურთო საქმეების კურირება მთლიანად მას დაევალა.

„ტორპედოს“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ განაცხადა, რომ მისი მიზანია, ქუთაისური კლუბი ევროპაში ერთ-ერთი საკმაოდ სერიოზული ძალა გახდეს, რისთვისაც 5-წლიანი გეგმა აქვს შემუშავებული.

**გია გეგუჩაძე:**

— ჩვენი სამწვრთნელო გუნდისთვის დიდი პატივია ისეთ ძლიერ და ტრადიციულ კლუბში მისვლა, როგორიც „ტორპედოა“. კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ქუთაისელი, არამედ მთლიანად ქართველი გულშემატკივრების წინაშე გვაკისრია. კლუბში საკუთარი პროგრამით მოვდივართ. ეს არის 5-წლიანი გეგმა — უნდა დასრულდეს ინფრასტრუქტურული პროექტები, რათა მოხდეს მისი რეალიზება. „ტორპედო“ ევროპაში ერთ-ერთი სერიოზული ძალა გახდება. ამ შემთხვევაში მხოლოდ პირველი გუნდი არ იგულისხმება, არამედ, საუბარია დუბლშემადგენლობაზე, „ტორპედოს“ აკადემიის განვითარებაზე, რომლის კურირებაც ჩვენ მოგვიწევს. ჩემი ასისტენტი გურამ ასპინძელაშვილი იქნება, ხოლო მეკარეების მწვრთნელი — დავით ჯანელიძე. წინასწარ ვერ გეტყვით, რა ცვლილებები მოხდება. კლუბის შიდა სამზარეულოში უფრო ღრმად რომ ჩავიხედავ, ამ თემაზე ამის შემდეგ ვისაუბრებ.

***— „ტორპედო“ ამჟამად რა მდგომარეობაშია და რა ცვლილებები იგეგმება შემადგენლობაში?***

— ჩემს წინამორბედებს მადლობას გადავუხდი იმისთვის, რომ სეზონის წინ გუნდმა სლოვენიაში ნაყოფიერი შეკრება გაიარა და მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. □„ტორპედოს“ თამაში უკეთესად რომ შეუძლია, ეჭვი არ მეპარება. რა ცვლილებები მოხდება შემადგენლობაში, წინასწარ ვერ ვიტყვი, რადგან მინდა, ამა თუ იმ ფეხბურთელის შესაძლებლობაში დავრწმუნდე. ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს წარმოადგენს მოწინავე რვა გუნდში მოხვედრა. ეს ამოცანა სასწრაფოდ შესასრულებელია.

***— კონკრეტულად რა მიზანს გისახავთ კლუბის ხელმძღვანელობა მიმდინარე სეზონში?***

— ჩვენ შევთანხმდით, რომ შევეცდებით, მაქსიმალურად მაღალი ადგილი დავიკავოთ. არ უარვყოფ, რომ ცვლილებები მოხდება. მთავარია, სწორი სპორტული აუდიტი ჩატარდეს. რა დასკვნებიც დაიდება, იმის მიხედვით მოხდება ცვლილებებიც. საერთოდ, ცვლილებები შედეგის მიღწევას ხელს უშლის. კონკრეტული ამოცანა არ გვაქვს. გულშემატკივრებსაც შევხდებით და ავუხსნით, რომ ამ ეტაპზე ცვლილებები უფრო საჭიროა.

***— 28 ოქტომბერს საქართველოს თასის მატჩში ბათუმის „დინამოს“ წინააღმდეგ გუნდს თუ უხელმძღვანელებთ?***

— თასის თამაშზე მთავარი მწვრთნელი მე არ ვიქნები. მუშაობას 1 ოქტომბრიდან შევუდგებით, ხოლო 2 ოქტომბერს „გაგრას“ ვეთამაშებით.

***— სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, როდესაც გუნდში მთავარ მწვრთნელად მიდიოდით, ასე ვთქვათ, თქვენი ფეხბურთელები მიგყავდათ. მოსალოდნელია თუ არა იგივე „ტორპედოში“?***

— გამორიცხული არაფერია. ბუნებრივია, იმ ადამიანებთან მუშაობა მირჩევნია, რომლებსაც კარგად ვიცნობ. თუმცა, ჩემი დიდი სურვილია, ახალი სახეები აღმოვაჩინოთ, რომლებიც ქართულ ფეხბურთს გამოადგებიან.

**ლევან ფხაკაძე:**

— სიმართლე გითხრათ, უცხოელი მწვრთნელის მოყვანაზეც ვფიქრობით და რამდენიმე მათგანთან მოლაპარაკება გვქონდა — ზოგი საქართველოში იყო ჩამოსული, ზოგს კი ჩვენ ვესტუმრეთ. ქართველი მწვრთნელების კანდიდატურებიც განიხილებოდა. ერთ-ერთი მათგანი გეგუჩაძე იყო, მაგრამ მას „ზესტაფონთან“ მოქმედი კონტრაქტი აკავშირებდა. როდესაც მან კლუბი დატოვა, დავუკავშირდით, მაგრამ გიასთან მოლაპარაკება ადვილი არ ყოფილა. მას თავისი ხედვა და კარგი 5-წლიანი პროგრამა აქვს. გეგუჩაძე კურირებას გაუწევს დუბლშემადგენლობას და საფეხბურთო აკადემიას, როგორც თბილისში, ასევე, ქუთაისში. საქართველოსთვის უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც მწვრთნელთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდის გასვლამდე წარმატებას არ ველით. ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაშიც □„ტორპედო“ მოწინავე კლუბი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, ევროპაშიც გახდება.

# ირაკლი აბუსერიძე მოგებას გვპირდება

26 სექტემბერს „ბორჯღალოსნები“, ათდღიანი შესვენების შემდეგ, ვაირარაპადან მანავატუს მხარეში, ქალაქ პამერსტონ ნორსში გადავიდნენ, სადაც დღეს და 2 ოქტომბერს „არენა მანავატუზე“ ბ ჯგუფში დარჩენილ ორ მატჩს გამართავს რუმინეთისა და არგენტინის ნაკრებების წინააღმდეგ.

რიჩი დიქსონმა რუმინეთის პირისპირ ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ორი ცვლილება განახორციელა: ფულბეკის პოზიციაზე რევაზ გიგაურის ნაცვლად ლაშა ხმალაძე ითამაშებს, ხოლო შერკინებაში ტრავმირებული შალვა სუთიაშვილის ნაცვლად — გიორგი ჩხაიძე. 9 ნომერზე ფლორინ სურუჯიუ ითამაშებს მიხაი სირბუს ნაცვლად გუნდს ჰუკერი მარიუს ტინკუ გაუძღვება, რომელიც ინგლისთან სათადარიგო სკამზე იყო. საქართველოს წინააღმდეგ გონტინეაკს 8 დასვენებული მოთამაშე გამოჰყავს. ეს არც არის გასაკვირი — 28 სექტემბრის მატჩი მათთვის მსოფლიო თასის ბოლო შეხვედრაა. შოტლანდიის, არგენტინისა და ინგლისის ნაკრებებთან განცდილი მარცხის შემდეგ ისინი მოსაგებად გეგმავენ ბრძოლას.

იგივე მიზანი აქვს ჩვენს გუნდს. „ბორჯღალოსნების“ მთავარმა მწვრთნელმა, რიჩი დიქსონმა, მატჩის წინა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

— 28 სექტემბრის მატჩი ორივე გუნდისთვის საკმაოდ მძიმე იქნება. რუმინეთის ნაკრებს კარგად ვიცნობთ და ანგარიშს ვუწევთ მის ძალას. შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებებთან შეხვედრებში დავამტკიცეთ, რომ მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია. იგივე უნდა გავაკეთოთ რუმინელებთანაც. რთული საშეჯიბრებო განრიგის გამო ტრავმები გვაქვს. გათამაშებას გამოაკლდა ირაკლი მაჩხანელი, რომელიც დიდი ძალა იყო ჩვენთვის. რუმინეთთან ვერ ითამაშებს პირველხაზელი დავით ქუბრიაშვილი. დანარჩენები მზად არიან ბრძოლისთვის. ბიჭებმა საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს თავი წინა შეხვედრებში, ამიტომ გუნდის ბირთვი იგივე დავტოვეთ. მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩში უძლიერესი შემადგენლობით გამოვდივართ.




14 ნომერზე დადგება რევაზ გიგაური, რომელიც ამ პოზიციაზე ირაკლი მაჩხანელს ჩაანაცვლებს. ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მუხლის ტრავმის გამო გათამაშებას გამოეთიშა.

დავით ქუბრიაშვილიმა ინგლისთან დაპირისპირებისას ტვინის შერყევა მიიღო და შემადგენლობაში არ არის. მის ადგილს დავით ზირაქაშვილი დაიკავებს. სათადარგო სკამზე კი გოდერძი შველიძეა.

სანდრო თოდუა, რომელმაც წინა შეხვედრაში, ქუბრიაშვილის მსგავსად, ტვინის შერყევის გამო დატოვა მოედანი, კვლავ ძირითად შემადგენლობაშია.

რუმინეთის მთავარმა მწვრთნელმა, რომეო გონტინეაკმა ინგლისთან მატჩში 11 ძირითადი მოთამაშე დაასვენა, საქართველოს წინააღმდეგ კი სრული საბრძოლო შემადგენლობა

**ირაკლი აბუსერიძე, „ბორჯღალოსნების“ კაპიტანი:**

— ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მატჩის მოგებას. რუმინელებს ერთა თასზე ვხვდებით და ამ გუნდს კარგად ვიცნობთ. 2007 წლის გათამაშებაზე ნამიბიასთან მოვიგეთ. შეხვედრის მოგება მსოფლიო თასზე დიდებული განცდაა. ახლაც მოედანზე მოსაგებად გავდივართ.

გაგაცნობთ ორივე გუნდის სასტარტო შემადგენლობას:

**საქართველო:** 15. ლაშა ხმალაძე, 14. რევაზ გიგაური, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

**მარქაფა:** 16. გოდერძი შველიძე, 17. ვასილ კაკოვინი, 18. ლევან დათუნაშვილი, 19. გივი ბერიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მალხაზ ურჯუკაშვილი.

**რუმინეთი:** 15. იულიან დუმიტრაში, 14. სტეფან ჩუნტუ, 13. ჩაბა გალი, 12. იონუც დიმოფტე, 11. მადალინ ლემნარუ, 10. დანუც დუმბრავა, 9. ფლორინ სურუჯუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. მარიუს ტინკუ, 3. პაულიკა იონი, 4. ვალენტინე ურსაკე, 5. კრისტიან პეტრე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. ოვიდიუ ტონიცა, 8. დანიელ კარპო.

**მარქაფა:** 16. ბოგდან ზებეგა, 17. სილვიუ ფლორეა, 18. ვალენტინე პოპარლანი, 19. დანიელ იანუსი, 20. ვალენტინ ნიკოლაე, 21. კონსტანტინ გეარა, 22. ფლორინ ვლაიკუ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 121:22 | 14 |
| 2.არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 65:33 | 10 |
| 3.შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 61:43 | 10 |
| 4.საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 16:56 | 0 |
| 5.რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 35:155 | 0 |

**დარჩენილი მატჩები:**

28 სექტემბერი. პალმერსტონი. საქართველო-რუმინეთი;

1 ოქტომბერი. ოკლენდი. ინგლისი-შოტლანდია;

2 ოქტომბერი. პალმერსტონი. არგენტინა-საქართველო

# „არმია“ ძლიერდება და სლოვენიაში მიდის

საკალათბურთო კლუბი „არმია“, რომლის მთავარი მწვრთნელიც კოტე ტუღუში გახლავთ, სექტემბრის მიწურულსა და ოქტომბრის დასაწყისში ორკვირიან შეკრებას სლოვენიაში გაივლის, კლუბის მთავარი სამიზნე კი ევროჩელენჯის გათამაშებაა, რომელშიც არმიელები ნოემბერში ჩაებმებიან.

ბ ჯგუფში „არმია“ ჰოლანდიურ „ლეიდენს“, გერმანულ „გოტინგენსა“ და ევროთასის კვალიფიკაციის მესამე წყვილში (თურქეთის „ბეშიქთაში“/ბელგიის „დექსია-მონსი“) დამარცხებულს ეთამაშება. მომდევნო ეტაპზე ჯუფის პირველ-მეორეადგილოსნები გავლენ, „არმია“ კი პირველ მატჩს 11 ნოემბერს თბილისში „გოტინგენის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

სლოვენიაში შეკრების გავლამდე არმიელებმა დაასრულეს გუნდის გაძლიერება. არმიელთა მორიგი შენაძენი პუერტორიკოელი მცველი გილიერმო დიასი გახდა, რომელმაც გასულ სეზონში იტალიურ „სკავოლინის“ შემადგენლობაში თამაშობდა. 188 სანტიმეტრი სიმაღლისა და 26 წლის დიასი სერია ა-ში საშუალოდ 12.5 ქულას აგროვებდა, ზაფხულში კი სამშობლოში დაბრუნდა და „კაპიტანეს დე არესიბოში“ ჩაირიცხა.

ცნობისთვის, დიასი 2006 წლის დრაფტზე „ლოს ანჟელეს კლიპერსმა“ მეორე რაუნდში 52-ე ნომრად აიყვანა, თუმცა პუერტორიკოელმა კალათბურთელმა ნბა-ში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო, მხოლოდ ექვს მატჩში ითამაშა და 5 ქულის მოგროვება მოახერხა. მალევე დიასმა ამერიკა დატოვა და ევროპას მიაშურა, სადაც სკავოლინიში გადასვლამდე ჩეხურ „ნიმბურკში“, ბერძნულ „პატრასსა“ და იტალიურ „ბიელაში“ ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ახალი სეზონისათვის „არმიამ“ აქამდე ხუთი კალათბურთელი დაიმატა — ბუბა კვიმსაძე, შვედი ცენტრალური თავდამსხმელი იოაკიმ კიელბომი, ნბა-ს კლუბ „ნიუ ჯერსის“ გამთამაშებელი სანდიეტა გეინსი, „ატლანტა ჰოუქსში“ ზაზა ფაჩულიას ყოფილი თანაგუნდელი, მსროლელი ჯერემი რიჩარდსონი, რომელიც ბოლოს ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ვალენსიაში“ თამაშობდა და ბელგიური „ოოსტენდეს“ ყოფილი ამერიკელი ლეგიონერი, მსუბუქი ფორვარდი ული ტომასი.

კვიმსაძეს, კიელბომს, რიჩარდსონსა და ტომასს „არმიასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებთ. რაც შეეხება გეინსს, იგი „არმიაში“ ნბა-ში გამოცხადებული ლოკაუტის დასრულებამდე დარჩება.

ძველი შემადგენლობიდან კლუბში ზვიად ბაბიაშვილი, ანატოლი ბერიშვილი, დავით საყვარელიძე, ანატოლი ბოისა, გიორგი შარაბიძე, ვახტანგ მინაშვილი, რეზო ათანელიშვილი და ლევან მოსეშვილი დარჩნენ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-სანდერლენდი ..... 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ბეტისი ..... 1:0

**იტალია. სერია ბ**

ემპოლი-რეჯინა ..... 3:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-აინტრახტი ..... 1:4

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სედანი-რეიმსი ..... 1:0

ლე მანი-ტრუა ..... 1:1

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

სპარტა-ალმერე ..... 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ფეირენსე ..... 4:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-ტერეკი ..... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ერჩიესი ..... 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სპარტა-სლავია ..... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბიტომი-კორონა ..... 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ტავრია-ილიჩევეცი ..... 3:2

ტავრიას პირველი გოლი ვასილ გიგიაძემ გაიტანა

მეტალურგი(დ)-კარპატი ..... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ლუნგბიუ ..... 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-კალმარი ..... 1:1

დიურგარდენი-გიოტებორგი ..... 1:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სარპსბორგი-ფრედრიკსტადი ..... 1:4

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ინტერი ..... 0:0

როვანიემი-მიუპა ..... 2:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

დუბლინი-ბოჰემიანი ..... 2:0

**არგენტინა. აპერტურა**

ლანუსი-კოლონი ..... 1:1

ოლდ ბოიზი-გოდოი ..... 1:1

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

ჩეხეთი-ისრაელი ..... 3:0

საფრანგეთი-უკრაინა ..... 3:0

პოლონეთი-რუმინეთი ..... 3:0

სერბეთი-გერმანია ..... 1:3

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

კანადა-იაპონია ..... 23:23

იტალია-აშშ ..... 27:10

**ჩოგბურთი**

**აგჰ. ბანგკოკი. ჰარდი**

ჰირალდო-სელა ..... 6:2;6:3

დოდიგი-დიმიტროვი ..... 2:6;5:7

ფონინი-უდომჩოუკე ..... 4:6;6:3;2:6

ბაჰინგერი-ჯონსი ..... 7:5;6:4

ბერერი-ჩიუდინელი ..... 7:6;6:3

ნიემინენი-ტიემი ..... 6:1;4:6;7:5

**ვტა. ტოკიო. ჰარდი**

აზარენკო-ბეგუ ..... 6:1;6:3

ჩჟენი-ვანდევეიე ..... 6:7;6:4;2:6

გერგესი-არნი ..... 6:2;6:1

პავლუჩენკოვა-კინგი ..... 4:6;6:7

რადვანსკა ა.-კერბერი ..... 3:6;6:3;6:3

დულკო-პირონკოვა ..... 6;7;1:6

კვიტოვა-მინელა ..... 6:2;6:3

ივანოვიჩი-რობსონი ..... 7:5;6;4

პირი-ზაკოპალოვა ..... 3:6;1:6

ზვონარევა-პირონკოვა ..... 7:5;6:0

პენი-მაკჰეილი ..... 6:0;6:3

კანეპი-ვანდევეიე ..... 6:2;6:2

ციბულკოვა-ბენეშოვა ..... 4:6;2:6

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# გვარდიოლა ლაპორტას იცავს, სუბისარეტა — გვარდიოლას

„ბარსას“ ახლანდელი და ყოფილი პრეზიდენტები, სანდრო როსელი და ხუან ლაპორტა, ერთ გუნდში იყვნენ, მაგრამ როსელის გაპრეზიდენტების შემდეგ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. ახლა სანდრო როსელი კლუბის ყველა პრობლემას ლაპორტას ხანას აბრალებს. შაბათს კლუბის გენერალური ასამბლეა გაიმართა და ლაპორტა იქ დემონსტრაციულად არ მივიდა.

ამ დღეებში „ბარსას“ პრეზიდენტმა სანდრო როსელმა მისი წინამორბედი ჟოან ლაპორტა მწვავედ გააკრიტიკა, თუმცა ლაპორტა ხოსეპ გვარდიოლამ დაიცვა.

— ლაპორტა ძალზე განიცდის ასეთ დამოკიდებულებას და ის ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ მოქცევას ჩვენი მხრიდან. ის, რომ კლუბს ფინანსური სირთულეები აქვს, მისი ბრალი სულაც არ არის. ჩვენ ყველანი დავალებულნი ვართ მისგან, რადგან „ბარსა“ ცუდ ვითარებაში ჩაიბარა და საოცარი რაღაცები გააკეთა გუნდისთვის, — განაცხადა პეპ გვარდიოლამ.

ცხადია, ამ სიტყვების შემდეგ კამათი უკვე იმაზე დაიწყო, დათვლილია თუ არა გვარდიოლას მუშაობის საათები კატალონიურ კლუბში.

„ბარსელონას“ სპორტულმა დირექტორმა ანდონი სუბისარეტამ განაცხადა, რომ გუნდის თავკაც პეპ გვარდიოლას სიტყვები კლუბის ექსპრეზიდენტ ჟოან ლაპორტასთან დაკავშირებით კლუბზე ცუდად არ აისახება.

— არა მგონია, რომ რამე ისეთია, რაც შესაძლოა გუნდზე ნეგატიურად აისახოს. ჩვენი გუნდის მოთამაშეები საკმაოდ გამოცდილი და ზრდასრული ხალხია. ისინი მხოლოდ ფეხბურთზე არიან კონცენტრირებულნი, — განაცხადა სუბისარეტამ.

შედით საიტზე atb.ge

# „ჩვენებურები“ ბათუმში გაიხსნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლი პროექტის განხორციელება. გარდა ამისა, პროგრამა,

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და კულტურის სამინისტროს მიერ უცხოეთში არსებული ქართული ანსამბლების საჭირო აღჭურვილობით მომარაგებას ითვალისწინებს (ქართული, ნაციონალური ჩოხები, კაბები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა ატრიბუტიკა ანსამბლების წევრთათვის). ფოლკლორის საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში გასულ წელს, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი 13 ქართული ფოლკლორული ანსამბლი აღიჭურვა.

ბათუმში ფესტივალის გახსნის შემდეგ, 29 სექტემბერს ფესტივალი უკვე ანაკლიაში გადაინაცვლებს, პირველი ოქტომბრიდან კი თბილისში მთაწმინდის პარკსა და გრიბოედოვის თეატრში გაგრძელდება.

საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ საქართველოს პრეზიდენტის დედის, გიული ალასანიას, ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 2004 წლის 18 ოქტომბერს დაფუძნდა. ფესტივალი კონსერვატორიის დიდ დარბაზში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინითსა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა. ფესტივალის პრეზიდენტი გიული ალასანიაა, სამხატვრო ხელმძღვანელი — ანზორ ერქომაიშვილი, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტს — დარეჯან კუხიანიძე ხელმძღვანელობს.

— უწმინდესი და უნეტარესი ყოველთვის დიდი ინტერესით და სიყვარულით ადევნებდა თვალყურს ჩვენს ფესტივალს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა საქმიანობას. გვლოცავდა, გვაკურთხებდა, ესწრებოდა კონცერტებს, საპატრიარქოში იწვევდა ჩვენებურებს. მისი სითბო და ყურადღება განსაკუთრებით ახარებდათ სამშობლოდან სხვადასხვა დროს გადახვეწილ ახალ თუ ძველ ემიგრანტებს. ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ გავჩერდეთ, აღარ ჩამოვიყვანოთ ჩვენებურები საქართველოში და აღარ მოვაწყოთ მსგავსი ფესტივალები, — აცხადებენ ფესტივალის ორგანიზატორები.

„ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, რომ ერთმანეთს ხმა ვერ მივაწვდინოთ“, — ასეთია ფესტივალის დევიზი, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარგარეთის ქართულ დიასპორებთან კულტურული კავშირების აღდგენასა და შენარჩუნებას, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას. „ჩვენებურებში“ ყოველწლიურად მონაწილეობენ საქართველოში მოღვაწე, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოქმედებითი ჯგუფები და ის უცხოური კოლექტივები, რომელთა რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს ქართულ სიმღერასა და ცეკვას.

წელს საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ უკვე მე-15-ედ გაიმართება. ღონისძიებები, ტრადიციულად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდება. ფესტივალის დეტალებზე მისმა ორგანიზატორებმა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. პრესკონფერენცია ფესტივალის ორგანიზატორებმა საგანგებოდ ჟურნალისტებისთვის მოიწვიეს და ფესტივალის სიახლეებსა და პროგრამაზე დაწვრილებით ისაუბრეს.

საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“ 2 ოქტომბერს თბილისში დაიხურება.

გიული ალასანია, ფესტივალის პრეზიდენტი:

— ეს უკვე მე-15 ფესტივალია, რომელიც ჩვენ მიერ ტარდება. მოგეხსენებათ, „ჩვენებურები“ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც იმართება. ჩვენ ჩავდივართ ყველგან, სადაც ჩვენი თანამემამულეები გვეგულება. საბედნიეროდ, ამ ფესტივალში მონაწილეობენ არა მარტო ეთნიკური ქართველები, არამედ ის უცხოელებიც, ვისაც განსაკუთრებულად უყვართ ქართული პოლიფონია. ამ ფესტივალში ყველა ის ჩვენებური მონაწილეობს, რომელიც ამ დღისთვის საქართველოში ჩამოდის. საბედნიეროდ, წელს პირველად, ამ ღონისძიებებს ებრაელი ჩვენებურებიც შემოუერთდნენ. ჩვენ ისინი ქართული შესამოსლით დავასაჩუქრეთ. დიდი ბედნიერებაა, რომ ისინი ქართული ტრადიციების და ეთნოგრაფიის პოპალარიზაციას ეწევიან. ჩვენი ფესტივალი იმით არის გამორჩეული, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ყოველთვის სიამოვნებით ჩამოდიან საქართველოში. ისინი არასოდეს წყვეტდნენ კავშირს თავის სამშობლოსთან. სამშობლოსადმი ლტოლვა და ნოსტალგია მშობლიურ კერას სხვადასხვა მიზეზებით მოწყვეტილი ქართველებისთვის განსაკუთრებულად მძაფრია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ სამშობლოში ახსოვთ და უყვართ ისინი. ჩვენ ყოველ წელს ვცდილობთ ფესტივალები ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. ალბათ ამას ვახერხებთ, იმიტომ, რომ ფესტივალს ნამდვილად არ აკლია გულშემატკივრები.

დარეჯან კუხიანიძე, საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი:

— ფესტივალი საზეიმოდ ბათუმის ოპერის თეატრში გაიხსნება, 29 სექტემბერს განახლებულ ანაკლიაში გაგრძელდება, ხოლო 1 ოქტომბერს თბილისში, მთაწმინდის პარკსა და გრიბოედოვის თეატრში გადმოინაცვლებს. წელს „ჩვენებურებში“ თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ირანიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ისრაელიდან და სომხეთიდან ჩამოსული კოლექტივები და შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას.



„ჩვენებურების“ პრესკონფერენცია

ანზორ ერქომაიშვილი, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი:

— ფესტივალის პროგრამაში ძირითადად მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა რეპერტუარი იქნება, თუმცა, მას, რა თქმა უნდა, ადგილობრივი შემსრულებლებიც შეუერთდებიან. ანაკლიაში დაგეგმილ კონცერტში რამდენიმე დღის წინ ხობში ჩატარებული ფესტივალის დროს აღმოჩენილი შემსრულებლებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს ფესტივალი არა მარტო ქართველებს აერთიანებს, არამედ იმ უცხოელებსაც, ვისაც ქართული ცეკვა და სიმღერა უყვარს. ამიტომაც არის, რომ „ჩვენებურების“ გარშემო ყოველთვის ქართული კულტურის მოყვარული ადამიანები ერთიანდებიან.

# საქართველოს სომეხი მხატვრები გამოფენილია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

ეროვნულ მუზეუმში სომეხი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენის პარალელურად, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სომხეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავი აღინიშნა. კონსერვატორიის ფოიეში თბილისში მცხოვრები სომეხი ფოტოხელოვნების — იური მეჩითოვისა და იური აკულინის ფოტოგამოფენა მოეწყო. კონსერვატორიის დიდ დარბაზში კი სომხური ანსამბლებისა და სოლო შემსრულებლების კონცერტი გაიმართა. სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის საიუბილეო კონცერტს სომხური დელეგაცია და საქართველოში მცხოვრები სომხური დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

სომხეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით სასტუმრო „დიდუბე პლაზაში“ საზეიმო მიღება გაიმართა. საღამოს მთავარი მასპინძელი სომხეთის საელჩო იყო. სომხეთმა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა 1991 წელს გამოაცხადა. ღონისძიებაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ სომეხ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და კავკასიის ქვეყნებს შორის სტაბილური და თანამშრომლური ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა. საღამოზე ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული.

სომხეთის დამოუკიდებლობის 20 წლის იუბილე ანაკლიის პატრიოტთა ბანაკშიც იზეიმეს. ქართველმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა და ბელორუსმა ახალგაზრდებმა პატრიოტების მონაწილეობით სანახაობრივი აქცია მოაწყეს. ღონისძიებაზე აჟღერდა საქართველოს და სომხეთის ჰიმნები. სომხეთის დამოუკიდებლობის 20 წლის იუბილე გრანდიოზული კონცერტით დაგვირგვინდა, სადაც ქართული და სომხური სიმღერები შესრულდა.



# დღის კალენდარი

## 28 სექტემბრისთვის

**წლის 271-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 94 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

მე-16 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ოთხშაბათი

შემდგომი დღესასწაული ჯვართამაღლებისა, ამბა იოსებისა, ალავერდელი ეპისკოპოსისა (570); დიდმოწამისა ნიკიტასი (დაახლ. 372); პოვნა წმიდათა ნაწილთა აკაკი აღმსარებლისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა (III); მოწამეთა: მაქსიმესი, თეოდოტესი და ასკლიადისა (305-311); მოწამისა პორფირისა (361); პოვნა წმიდათა ნაწილთა პირველმოწამისა მთავარდიაკონისა სტეფანესი (415); ღირსისა ფილოთეოზ ხუცისა, მცირეაზიელისა, სასწაულმოქმედისა (X).

ხსენება დიდმოწამე ნიკიტასი. იგი დუნაის ნაპირებზე დაიბადა და იქვე ცხოვრობდა. წმიდა ნიკიტამ I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილის, გოტფელი ეპისკოპოსის თეოფილეს ქადაგებით ირწმუნა ქრისტე და მისგანვე მიიღო წმიდა ნათელი. თანამემამულეთა შორის ჭეშმარიტი რწმენის გავრცელებისათვის წმიდა ნიკიტა თავგამოდებით ილვწოდა. მან მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. წარმართმა მხედართმთავარმა აფანიქემ, რომელსაც სძულდა ქრისტიანები, სხვებთან ერთად ნიკიტაც შეიპყრო და ცეცხლში ჩააგდო, სადაც იგი აღესრულა კიდეც.

ხსენება ღირსი მამის საკვირველმოქმედი ფილოთეოსისა. იგი X საუკუნეში ცხოვრობდა. მან სამღვდელო ღირსება მიიღო და ლოცვის, მარხვისა და ქველმოქმედების ღვაწლთ მიუძღვნა თავი. როდესაც წმიდანი გარდაიცვალა, მისი წმიდა ნაწილებიდან მირონი წარმოედინებოდა.

ხსენება მღვდელმთავარ იოსებ ალავერდელისა. იგი იყო იმ ცამეტი სირიელ მამათაგან, რომელნიც ღვთაებრივი განგებულებით VI საუკუნეში ჩამოვიდნენ საქართველოში ჭეშმარიტი რწმენის განსამტკიცებლად ქართველებში და საფუძველი ჩაუყარეს აქ ქართული ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტს. იგი რამდენიმე ხანს თავის მოძღვართან, წმიდა იოანე ზედაზნელთან ერთად ცხოვრობდა ზედა ზადენის მთაზე. შემდეგ კახეთს გაეშურა და იქ ალავერდის უკაცრიელ და უნაყოფო ველზე დაიწყო მოსაგრეობა. მასთან მრავლად დაიწყეს მისვლა კეთილმსახურებისა და მოსაგრე ცხოვრების მოშურნეებმა. ამგვარად აღმოცენდა მონასტერი ალავერდისა. 570 წელს წმიდა იოსებ ალავერდელი მშვიდად აღესრულა. იგი მის მიერვე დაარსებულ ალავერდის მონასტერში იქნა დაკრძალული.

ხსენება ახალი მოწამე იოანე კრეტელისა. იგი 1811 წელს ევნო ქრისტეს სახელისათვის ქალაქ ახალ ეფესოში.

ხსენება მღვდელმთავარ აკაკი აღმსარებლისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა.

### დაიბადნენ:

ძვ.წ.551 — კუნ ძი (კონფუცი), ჩინელი ფილოსოფოსი, კონფუციონიზმის დამფუძნებელი, გარდაიცვალა ძვ.წ.479 წელს.

1573 — მიქელანჯელო კარავაჯო, იტალიელი მხატვარი, გარდაიცვალა 1610 წელს.

1803 — პროსპერ მერიმე, ფრანგი მწერალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, გარდაიცვალა 1870 წელს.

1847 — დავით ერისთავი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1890 წელს.

1898 — კონსტანტინე პაპინაშვილი, ქართველი გეოფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1975 წელს.

1908 — ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), რუსი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1990 წელს.

1915 — ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

1916 — ბიძინა ფოჩხუა, ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1981 წელს.

1916 — პიტერ ფინჩი, ინგლისელი მსახიობი, „ოსკარის “ პრემიის მფლობელი, გარდაიცვალა 1977 წელს.

1924 — მარჩელო მასტროიანი, იტალიელი კინომსახიობი, გარდაიცვალა 1996 წელს.

1934 — ბრიჯიტ ბარდო, ფრანგი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

ძვ.წ. 48 — გნეუს მაგნუს პომპეუსი, რომაელი მთავარსარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა ძვ.წ.106 წელს.

1891 — ჰერმან მელვილი, გამოჩენილი ამერიკელი მწერალი, ლიტერატურის კლასიკოსი, დაიბადა 1819 წელს.

1902 — ემილ ზოლა, ფრანგი მწერალი, დაიბადა 1840 წელს.

1978 — პავლე I, რომის პაპი, დაიბადა 1912 წელს.

### მოვლენები:

490 წელი (ძვ. წ.) სოფელ მარათონთან ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელების უზარმაზარი ლაშქარი.

48 წელი (ძვ.წ.) — რომაელი მთავარსარდალი პომპეუსი ეგვიპტის მეფე პტოლემეXIII დიონისემ მოკლა.

1066 წელი — სან-დიეგო პორტუგალიელმა მეზღვაურმა ჟუან კაბრალმა აღმოაჩინა.

1940 წელი — დაიწყო იტალიასა და საბერძნეთს შორის ომი.

1950 წელი — ინდონეზია გაეროს წევრი გახდა.

1958 წელი — საფრანგეთმა მიიღო ახალი კონსტიტუცია.

1958 წელი — საფრანგეთმა გვინეას დამოუკიდებლობა მისცა.

1960 წელი — ნატომ ერთობლივი სამხედრო-საჰაერო ძალები შექმნა.

1965 წელი — ფილიპინებში ლავის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა 500-მდე ადამიანი.

1972 წელი — იაპონიამ და ჩინეთმა დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა.

**მედიანიუსი**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 2. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ქართველი ფოტოხელოვანი, ალპინისტი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ავსტრიელი მწერალი; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 1. მოხეტიალე მომღერალი მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 5. ცხენის ერთგვარი სვლა; 7. ქართული კონიაკი; 9. შეუსაბამობა, უაზრობა; 10. მხარე გერმანიაში; 13. ნავთობის, წყლის საქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 14. ქართველი მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის შემქმნელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. შტატი აშშ-ში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფუგა; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. „ვატერლოო“; 6. ჭური; 7. „დამპერი“; 10. ლორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. კერი; 16. ალუშტა; 18. თემშარა; 19. ფლინტი; 21. ხორგო; 24. „ტოკაი“.

**თარაზულად:** 1. „ფიდელიო“; 3. ქაბაბი; 8. მარულა; 9. გალი; 14. ბროსე; 15. კელარი; 17. მანე; 20. თაბახი; 22. „ოპელი“; 23. ლაისტი; 25. უთო; 26. შუნი; 27. ოშკი; 28. კართაგენი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფოტონი; 2. ხამონი; 3. ბოლივუდი; 4. კრაუჩი; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. პასადენა; 12. მუშაითი; 15. ჰალვა; 17. მაცნე; 18. ზუბრი.

**თარაზულად:** 1. ფერხისა; 5. კაკაო; 7. კონკური; 9. ოოლოგია; 10. ბუნგალო; 13. სანდალი; 14. იანუსი; 15. „შუმი“; 19. ვახშამი; 20. რაფინადი; 21. „მაკლარენი“; 22. პამირი.

## ცესკოს თავმჯდომარე რეგიონებში შეხვედრებს მართავს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონისა და ამბროლაურის პოლიტიკური პარტიების რაიონული ერთეულების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს შეხვდა.

თავმჯდომარემ შეხვედრების მონაწილეებს 2010 წლის 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში გააცნო, წარუდგინა სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაცია და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების გეგმა. შეხვედრების შემდეგ გაიმართა დისკუსიები საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ.

ცესკოს თავმჯდომარემ უკვე გამართა შეხვედრები აჭარის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი, ბათუმი), გურიის (ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური) სამეგრელოს (წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მარტვილი, სენაკი, ზუგდიდი, ხობი, ფოთი), ყაზბეგისა და მცხეთა-მთიანეთის (დუშეთი) რეგიონებში. აღნიშნული შეხვედრების შედეგად კომისიის თავმჯდომარე რეგიონების ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლების სხვადასხვა სახის რეკომენდაციებსაც ეცნობა, რაც ადმინისტრაციას საარჩევნო პროცესების უკეთ დაგეგმვაში ეხმარება.

**მედიანიუსი**

## დღეს ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება

მსოფლიოში დღეს ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დაავადებისგან ყოველწლიურად 55000 ადამიანი იღუპება, მათგან 99% ცოფიან ძაღლთან კონტაქტის შედეგად ინფიცირდება. შემთხვევები ძირითადად აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ფიქსირდება, სადაც უმეტესად 15 წლამდე ასაკის ბავშვები ავადდებიან.

აზიისა და ევროპის ქვეყნებში ადამიანთა დაინფიცირდება ძირითადად ძაღლთან და კატასთან, იშვიათად კი მგელთან და ტურასთან კონტაქტის შედეგად ხდება. ამერიკასა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში კი ინფექციის ძირითადი წყარო ღამურაა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, მიმდინარე წელს საქართველოში ცოფით 2 ადამიანი დაინფიცირდა და გარდაიცვალა. ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა და მკურნალობა 18-წლამდე პაციენტებისთვის უფასოა, ხოლო 18 წელს ზემოთ ვაქცინა უფასოა, სამედიცინო მომსახურება კი ფასიანი, რომლის ტარიფს სამედიცინო დაწესებულება ინდივიდუალურად აწესებს.

ექიმ-ინფექციონისტების ინფორმაციით, ცოფი მწვავე ვირუსული ზოონოზური დაავადებაა, რომელიც შესაბამისი იმუნოპროფილაქტიკური ჩარევის გარეშე ლეტალურად სრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

## 31 წლის ქალბატონმა სხეულის მძიმე დამწვრობა მიიღო

სხეულის მძიმე დამწვრობით თბილისის დამწვრობის ცენტრში 31 წლის ქალბატონი მოათავსეს.

პაციენტი ახმეტიდან კატასტროფის მედიცინის ბრიგადამ გადმოიყვანა. ის ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ცნობილია, რომ დაშავებული ყავას ადუღებდა, როდესაც ძლიერი აალება მოხდა.

მას სხეულის ზედაპირის 40 პროცენტი აქვს დამწვარი.

ექიმების განცხადებით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმე რჩება და ის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

**მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

### მერაბ სანიკიძის მონატრება



პირველი დაბადების დღე მოვიდა, შვილო, უშენოდ — 28 სექტემბერი. დედა მოგიკვდეს, 51 წელი შეგისრულდებოდა. ჩემთვის კი სულ 50 წლის დარჩები. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები — შენს ცოლშვილს, რძლებს, შვილიშვილებს, შენს ერთადერთ ძმას, რომლის თვალზეც ცრემლი არ შრება, მის ცოლ-შვილსა და ბევრს. ამბობენ, შვილო, ღმერთს რჩეულები მიჰყავსო, შენც მათ შორის აღმოჩნდი. ღმერთმა სამოთხის კარი გაგიღოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს. შენ ღირსი ხარ ამის. შენს სახელს, შვილო, დავიწყება არ უწერია. შენს სახლში კიდევ იზრდება პატარა მერაბ სანიკიძე, ე.ი. შენ კი არ მოკვდი, გარდაიცვალე. ამ ერთ წელიწადში, შვილო, კიდევ 2 შვილიშვილი შეგეძინა და 4 შვილიშვილის პაპა ხარ. ოჰ, რა ბედნიერი იქნებოდი!

*შენს ნახვას მონატრებული უბედური დედა*

---

ვლადიკ გიორგაძე, ავთანდილ სილაგაძე, ანზორ მაისურაძე, ქუჩი სხირტლაძე, გურამ გიორგაძე, ნუგზარ კალანდაძე, ბეგი ბაკურაძე, იუზა გიორგაძე, მიხეილ გიორგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

**მორის მიტროფანეს ძე კუჭავა**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

შპს „პროფკავშირების კულტურის ცენტრი“ ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის

**თამაზ ქაჯაიას**

გარდაცვალებას.

ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თელაველები ერეკლეს ძეგლს დარაჯობენ



თეა მარხვაი ე

კახეთის გული, თელავი პანიკამ მოიცვა. აქ ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა, რომ ხელისუფლება ქალაქიდან ერეკლე II-ის ძეგლის გატანას აპირებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ხელისუფლებას ძეგლების გადაადგილება დასჩემდა, მოულოდნელი არც ეს იქნება.

რასაც თელაველები ნამდვილად არ დაუშვებენ. რადგანაც სხვაგან სად უნდა იდგეს პატარა კახის ძეგლი თუ არა ამ უმშვენიერეს ქალაქში. ჩვენი ხელისუფლების „ნაციონალური თავისებურებანი“ თელაველებმა კარგად უწყიან. და ამიტომაც გადაწყვიტეს პატარა კახის დარაჯობა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, უკვე რამდენიმე დღეა თელავში, ერეკლე II-ის ძეგლს დარაჯობენ. ადგილობრივების თქმით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ძეგლის სხვა ადგილზე გადატანას აპირებს.

— □გაზეთში დაიწერა, რომ ძეგლი სიღნაღში უნდა გადაიტანონ. პირადად, პრეზიდენტის მითითება ყოფილა. ერეკლე მეფის მუზეუმი თელავშია და ძეგლიც აქ უნდა იყოს. ეს ძეგლი თელავის სიმბოლოა და არავის მივცემთ უფლებას, რომ სადმე წაიღონ ან ადგილი შეუცვალონ, — აღნიშნა თელავის მკვიდრმა მიხეილ მოსეშვილმა.

—□მუზეუმის ადმინისტრაციას რომ ვკითხეთ, გვითხრეს, ამჯერად ჩვენც პრესიდან გავიგეთ, რამდენიმე თვის წინ კი ამაზე ნამდვილად მსჯელობდნენო. არ დავუშვებთ, რომ ეს ძეგლი აქედან აიღონ. რას დაატარებენ ამ ძეგლებს აქეთ-იქით? ხალხი მშიერი კვდება და რაც ამ ძეგლების გადატანა — გადმოტანაში ფულს ხარჯავენ, მისცენ ღატაკებს, რომ პური მაინც იყიდონ, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს თელაველმა ელზა ღირსიაშვილმა.

მოსახლეობისგან განსხვავებით საპირისპირო ინფორმაციას ფლობენ ხელისუფლებაში. განსხვავებული ცნობა აქვს თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორ გურამ ურჩუხიშვილს.

მან კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში განაცხადა, რომ ძეგლის შესაძლო გადატანის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

— ძეგლი მუნიციპალიტეტის ბალანსზეა, მუზეუმს შეხება არ აქვს. გადატანის შესახებ არაფერი გამიგია, — აღნიშნავს ურჩუხიშვილი.

თელაველებს მეფეზე თვალთვალის დაწესება ცოტა დააგვიანდათ. რამეთუ ძეგლის გადატანის შესახებ ინფორმაცია ერთი თვის წინ გაავრცელა ლეიბორისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ.

—□ამჟამად უკვე გვაქვს შეგინებული და ბინძური პასკვილებით შეურაცხყოფილი ქართლის დედა, რესპუბლიკის მოედნიდან □გაძევებული□ დავით აღმაშენებელი, ბათუმის ბულვარიდან □გაძევებული□ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების თავკაცი მემედ აბაშიძე, ბათუმის ცენტრალური მოედნიდან □გაძევებული□ ილია ჭავჭავაძე, აფეთქებული და მსხვერპლით დასრულებული დიდების მემორიალი ქუთაისში, სტალინის ძეგლის უმისამართოდ გაქრობა გორიდან და სულ ახლახან დავით აღმაშენებლის ძეგლის □გაძევება□ ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან. უხლოეს მომავალში კი თბილისიდან ვახტანგ გორგასლის, ხოლო თელავიდან ერეკლე მეორის ძეგლის გაძევება იგეგმება, — განაცხადა ერთი თვის წინ კირთაძემ.

„ახალი თაობა“ გუშინ დაუკავშირდა კირთაძეს და ამ ინფორმაციის გადამოწმება სთხოვა. კირთაძე ძველ განცხადებას იმეორებს და ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ ერეკლე მეფის ძეგლს „თვალი ცუდად დაადგა“.

კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, ერეკლე II-ის ძეგლის სხვა ადგილზე შესაძლო გადატანის შესახებ. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა განუცხადა, ამ საკითხით ზოგიერთი პოლიტიკური პარტია სპეკულირებს.

—□ერეკლე II-ის ძეგლის არათუ გადატანა იგეგმება, არამედ, იდეაზე საუბარიც კი იაფფასიანი ავანტურაა. ეს არავის დაუგეგმავს არც ახლა და არც მომავალში. ცრუ ინფორმაციის გამავრცელებლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება ისტორიული პირის შეურაცხყოფაა. ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას უნდა, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, — განაცხადა სიბაშვილმა.

ნესტან კირთაძე კი ძველ პოზიციაზე რჩება. ამტკიცებს, რომ ხელისუფლება პატარა კახის თელავიდან გაძევებას აპირებს.

თელაველებს ხელისუფლების თან სჯერათ, თან — არა. და მეფე რომ არ წაართვან ამიტომაც გულმოდგინედ სდარაჯობენ პატარა კახს. განსაკუთრებით ღამ-ღამობით ფრთხილობენ. იციან, რომ ასეთ საქმეს ხელისუფლება ღამე აკეთებს. გორელებს სტალინი სწორედ ღამე მოჰპარეს.

## გაეროს უშიშროების საბჭო პალესტინის აღიარების საკითხზე იმსჯელებს

პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა დღეს, 28 სექტემბერს გაიმართება. შესაბამისი გადაწყვეტილება წუხელ ნიუ-იორკში გამართულ უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციისას მიიღეს.

გავრცელებული ცნობით, უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობა მზადაა მხარი დაუჭიროს პალესტინის განაცხადს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, თუმცა ამას ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც გაეროში ვეტოს უფლებით სარგებლობს.

იმ შემთხვევაში, თუ აშშ პალესტინის განაცხადს ვეტოს მეშვეობით დაბლოკავს, პალესტინა მხოლოდ დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსს მიიღებს, რაც მას საშუალებას მისცემს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში ჩაერთოს და საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს.

**მედიანიუსი**

## კატალონიაში უკანასკნელი კორიდა გაიმართა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კორიდის აკრძალვა ძალაში 2012 წლის 1 იანვრიდან შედის, კვირას გამართული წარმოდგენა კი 2011 წლის სეზონის ბოლო გამოსვლა გახლდათ.

მატადორებს შორის, ვინც არენაზე გამოვიდა, ლეგენდარული ხორხე ტომასიც გახლდათ.

„ბარსელონაში ძალიან ძველი არენა, სახალხო დღესასწაულების დიდი ტრადიციებით. ტორეადორებისათვის მას დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, — განაცხადა მეორე მატადორმა, ხულიან ლოპესმა.

ისტორიული წარმოდგენის ბილეთები ძალიან სწრაფად გაიყიდა. შავ ბაზარზე მათი ფასი ნომინალს ხუთჯერ აღემატებოდა, მიუხედავად ამისა, ბილეთები მაინც ძალიან სწრაფად იყიდებოდა.

ბოლო დროს კორიდასთან დაკავშირებით ასეთი აჟიოტაჟი კარგა ხანია არ გამართულა და ბარსელონას ცენტრალურ არენაზე ამდენი მაყურებელი კარგა ხანია არ გამოჩენილა.

კატალონიის ხელისუფლები კორიდის აკრძალვის კანონპროექტის განსახილველად გატანის ერთ-ერთ მიზეზად ხარებთან ბრძოლისადმი ინტერესის შემცირებას ასახელებენ.

ესპანეთის დანარჩენ ტერიტორიაზე, კანარის კუნძულების გამოკლებით, კორიდა კვლავინდებურად ნებადართულია.

ცხოველთა უფლებების დამცველები იმედოვნებენ, რომ დროთა განმავლობაში ხარების ბრძოლა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე აიკრძალება, თუმცა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამის მიღწევა თუნდაც სევილიაში ან მადრიდში თითქმის შეუძლებელი იქნება.

კორიდას აქ ერთ-ერთ ეროვნულ მონაპოვრად მიიჩნევენ. მრავალი ესპანელისათვის ცხოველებთან სასტიკი მოპყრობა არგუმენტი არ არის. ისინი აცხადებენ, რომ კორიდა ძველებური ტრადიციაა, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, დაცვა ესაჭიროება.

**გ. თ.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 28 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **10.25 რაგბი**. მსოფლიო თასი. საქართველო-რუმინეთი **12.30** აუდიტორია **13.30** მეხსიერება **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **16.00, 19.00, 20.00** მოამბე **17.00** ან. ფილმი **17.55 ფუტსალი**. უეფას ფუტსალის თასი. "იბერია სტარი" (საქართველო) – "ჟენევა" (შვეიცარია) **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** აივანი **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მე-**2** ტური **00.40** მხ. ფილმი **"პერსიდიო"** (**12**) (შ. კონერი) **02.25** მოამბე **02.45** ევროპული არჩევანი **04.15** მხ. ფილმი **"ჩურჩული ღამით"**

**08.00, 00.40** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"იმპერია"** **02.00** მხ. ფილმი **"დიკი რობერტსი: ვარსკვლავბიჭუნა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. **00.40** შუა დღე **01.40** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** მე-**2**ს. **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-**3**ს. **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** თბილისი ლაივი **00.30** მხ. ფილმი **"მინდა გახსოვდე"** (**12**) (რ. პატინსონი) (სუბტ.) **02.45** მხ. ფილმი **"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"** (**18**) (პ. კრუსი) (სუბტ.) **04.25** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (**12**) (უ. დეფო) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** მე-**3**ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ამაღლება"** **13.45** კონცერტი– ჯ. ბაგრატიონი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი **"თვალი პატიოსანი"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25 100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"განგაში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.15** ქართული ალბომი **22.30** დოკ. ფილმი "ცამეტი ასურელი მამა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **01.30** კონცერტი – პოლ მორია

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**28 სექტემბერი**


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,641
ევრო —2,3815
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 28 სექტემბრისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — 8-12
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — 11-13
**სამხარეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 1-8





# 26 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან" ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი"
მე-12 ტომი

უნიკალური პროექტი

# კოკო შანელი

უკვე გამოცემულია „100 წიგნის" 11 ტომი. ესენია:
1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი.
გამოსაცემად მზადაა:
ჩარლი ჩაპლინი, მარკო პოლო, ბიტლზი, რეიგანი.

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.




გაზეთი და წიგნი ერთად
8 ლარი


# საქართველო ფიბას რეიტინგში გამოჩნდა



საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა თავის პირველ დიდ ფორუმზე ითამაშა და ეს ფიბას რეიტინგშიც აისახა. საქმე ის არის, რომ ფიბას ერთი უცნაური წესი აქვს — თუ რომელიმე ნაკრები მისი ეგიდით გამართულ ტურნირში არ მონაწილეობს, რეიტინგში არ შეჰყავს. მართალია, ჩვენს ნაკრებს ბ დივიზიონში ნათამაშევი ჰქონდა, მაგრამ ამას ფიბა არ ცნობს და რეიტინგს მხოლოდ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშებზე ნაჩვენები შედეგებით ადგენს.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს კალათბურთის მმართველმა ორგანიზაცია ფიბა-მ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც, როგორც იქნა, საქართველოს ნაკრებიც მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე საუკეთესო თორმეტ ნაკრებში გასვლა შეძლეს, რაც, შესაბამისად, დაუფასდათ კიდეც. საქართველოს კი 8 ქულა მოუგროვდა და კუბის, მაროკოს, უკრაინისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებებთან ერთად ორმოცდამეათე-ორმოცდამეთოთხმეტე ადგილებს იყოფს.

აღსანიშნავია, რომ ევროპიდან კლასიფიკაციაში მხოლოდ 25 ნაკრებია, რომელთა შორის საქართველოს ეროვნულ გუნდი ბოსნია-ჰერცეგოვინისა და უკრაინის ნაკრებებთან ერთად მეოცე-ოცდამეორე პოზიციებს ინაწილებს. ცხადია, ევროპაში უდიდესი უპირატესობით (730 ქულა) ესპანეთი ლიდერობს. სერჯიო სკარიოლოს მიერ გაწვრთნილი ნაკრები მსოფლიოში მხოლოდ აშშ-ს (852) ჩამორჩება.

სრული რეიტინგის შემოთავაზება ბევრს არაფერს გვეტყვის და მხოლოდ მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ათეულებს გაგაცნობთ.

**ფიბა-ს რეიტინგი:**

1.აშშ — 852 ქულა; 2.ესპანეთი — 730; 3.არგენტინა — 673; 4.საბერძნეთი — 488; 5.ლიტვა — 426; 6.თურქეთი — 302; 7.იტალია — 272; 8.სერბეთი — 232; 9.ავსტრალია — 224; 10.ჩინეთი — 219; ...50.საქართველო — 8

**ფიბა-ევროპას რეიტინგი**

1.ესპანეთი — 730; 2.საბერძნეთი — 488; 3.ლიტვა — 426; 4.თურქეთი — 302; 5.იტალია — 272; 6.სერბეთი — 232; 7.რუსეთი — 213; 8.საფრანგეთი — 195; 9.გერმანია — 182; 10.სლოვენია — 157; ...20.საქართველო — 8.

მ. ჟ.

# ასტროპროგნოზი
28 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმდეთ. **ლომი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ქალწული** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მშვიდად იყავით. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — საღამო მშვენიერი იქნება. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — არ წამოეგოთ პროვოკაციაზე, ფრთხილად იყავით. **თევზები** — ყურადღება მიაქციეთ თქვენს ახლობლებს, მათ თქვენი დახმარება სჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კატალონიაში უკანასკნელი კორიდა გაიმართა

კორიდის მოყვარულებს კატალონიაში ადამიანის ხართან ბრძოლის ხილვის შესაძლებლობა უკანასკნელად მიეცათ. ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ამ მხარის ხელისუფლებმა ერთ-ერთი ყველაზე ძველი ესპანური ტრადიცია აკრძალეს.

ბარსელონას ღია არენაზე, სადაც ტრადიციულად ხარებთან ბრძოლა იმართებოდა, 20 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი და საუკეთესო მატადორების გამოსვლას უკანასკნელად ადევნა თვალი.

კატალონია ესპანეთის პირველი რეგიონია, სადაც კორიდა აკრძალეს. გასული წლის ზაფხულში ავტონომიის პარლამენტმა, მას შემდეგ, რაც შესაბამის პეტიციას 180 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი, ხარებთან ტრადიციული შერკინება კანონგარეშედ გამოაცხადა.

აკრძალვის ოფიციალური საფუძველი ცხოველებთან სასტიკი მოპყრობაა.

თუმცა, მიმომხილველები კიდევ ერთ შესაძლო მიზეზზე მიუთითებენ — მრავალ კატალონიელს კორიდის აკრძალვით საკუთარი ეროვნული იდენტურობის კიდევ ერთხელ აღნიშვნა სურს — მათ ხომ უძველეს ესპანურ ტრადიციაზე თქვეს უარი.

პარლამენტის მიერ კორიდის აკრძალვის შემდეგ ხარებთან ბრძოლს მომხრეებმა იგი სასამართლოში გაასაჩივრეს, მაგრამ ვერაფერს მიხვდნენ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე



# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვაზის ნასხლავი; 2. სამწვადედ მომზადებული ხორცის ნაჭრები; 3. საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 4. ქალის უთითო ხელთათმანი; 6. აეროპორტი მადრიდში; 8. თვითმფრინავის, გემის აცდენა კურსიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით; 11. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი ბოროტი, ავი სული; 17. ტროპიკული ხილი; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

**თარაზულად:** 1. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 7. „დედინაცვლის ენად" წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. პრივილეგიური, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 10. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 13. სამხაზველო ხელსაწყო; 14. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. აჭარული ხის სახლი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

